# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 31 მაისი. 2024 წ. №64 (9744) ელ.ფოსტა: sak@sak.ge | ფასი 1 ლარი


# გამჭვირვალობა ევროპული ფასეულობაა!



## საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მხრივ!

**მსოფლიოში ვართ პირველ ადგილზე ბიუჯეტის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ეს არის ჩვენი საერთო დამოკიდებულება. ერთადერთი სფერო, სახელმწიფოში, რომელიც აქამდე არ იყო გამჭვირვალე, ეს იყო სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების სფერო, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.**

– ზოგადად, რაც შეეხება გამჭვირვალობას, საქართველო არის გამორჩეული მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ეს ეხება მათ შორის, საჯარო მოსამსახურეების გამჭვირვალობას, ეს ეხება მთავრობის გამჭვირვალობას. მე პირადად, მივიღე გადაწყვეტილება, ყველა სამთავრობო განკარგულების თუ დადგენილების გასაჯაროების თაობაზე და ბიუჯეტის გამჭვირვალობის ინდექსიც არის ამის კიდევ ერთი დასტური. მსოფლიოში ვართ პირველ ადგილზე ბიუჯეტის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ეს არის ჩვენი საერთო მიდგომა, ჩვენი საერთო დამოკიდებულება. ერთადერთი სფერო, სახელმწიფოში, რომელიც აქამდე არ იყო გამჭვირვალე, ეს იყო სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების სფერო. შესაბამისად, ეს სფერო საჭიროებდა მოწესრიგებას, გამჭვირვალობას და ამ კუთხითაც არის მნიშვნელოვანი ის კანონი, რომელიც ჩვენ მივიღეთ საქართველოს პარლამენტში, რომელიც დააინიცირა ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა. გამჭვირვალობა არის ევროპული ფასეულობა, რომელიც უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში, აბსოლუტურად ყველა სფეროში...

# იკისრებს რუსეთი ქართველების გულის მოგებას?

③





## ჩინეთი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას იწყებს

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ ადასტურებენ ინფორმაციას კომპანია – China Communications Construction Company Limited სანქციებთან დაკავშირებით. ჩინურ კომპანიაზე, რომელმაც „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში" წინადადება წარადგინა, საერთაშორისო სანქციები არ ვრცელდება. შესაბამისად, გამარჯვების შემთხვევაში, კომპანიას თავისუფლად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელებაში.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, ჩინური კონსორციუმი ანაკლიის პორტის პროექტის გამარჯვებულად უახლოეს დღეებში გამოცხადდება. კერძოდ, მინისტრის თქმით, „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში" საბოლოო წინადადება ჩინურმა კონსორციუმმა **China Communications Construction Company Limited (China) & China Harbour Investment Pte. Ltd (Singapore)** წარადგინა.

დავითაშვილის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში დაზუსტდება წინადადების დეტალები, რომლის შემდეგაც გამარჯვებული გამოცხადდება და საპარტნიორო შეთანხმებისა და საკონცესიო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების პროცესი დაიწყება.

### ზვიად გამსახურდია – ღვთისა და მამულისთვის თავშეწირული

ჯემალ დავლიანიძის წერილის დასასრული



⑥

### გელა ქოქიაშვილი

## ვარდის სურნელით გაჟღენთილი ხმა



⑦

ვანო სარაჯიშვილი – ტკბილ ჰანგთა მეფე

### 1 ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა!

## ვანო ჩხიკვაძის და ფარნა რაინას ლექსები პატარებისთვის



⑧

## შალვა პაპუაშვილი:
# ოპოზიციამ ვერც ერთხელ ვერ გაბედა, ინტერპელაციით პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისთვის მიემართა



**„ოპოზიციამ ვერც ერთხელ ვერ გაბედა, ინტერპელაციით პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისთვის მიემართა. ესეც აჩვენებს, თუ როგორი უნარები აქვთ და საერთოდ რამდენად შემძლე არიან შინაარსობრივ დისკუსიებში შესვლაზე“...**

– ესეც აჩვენებს, რომ მყვირალა ფრაზების უკან სინამდვილეში რადიკალური დღის წესრიგის მქონე რამდენიმე ადამიანის ჯგუფი დგას, რომელიც თავს პოლიტიკოსს უწოდებს...

– პლენარული სხდომების განსახილველ საკითხებში ჩვენ გვქონდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ინტერპელაცია, რომელიც გახმაროს საკითხს შეეხებოდა. ინტერპელაციის მომართვა დეპუტატების შვიდკაციანი ჯგუფის მიერ მომზადდა, მაგრამ ვინაიდან მათ ბოიკოტი გამოაცხადეს, როგორც ჩანს, საკუთარ ინტერპელაციასაც ბოიკოტი გამოუცხადეს და ის არ შედგება. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს საპარლამენტო მუშაობასთან თუ რა დამოკიდებულება აქვთ, მათ შორის მოსახლეობის ინტერესებთანაც, რომელსაც ისინი თითქოსდა წარმოადგენენ...

– საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ბოიკოტი მოქმედებს და შეიძლება გამოცხადდეს საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. საპარლამენტო საქმიანობისთვის, პლენარული სხდომისთვის ბოიკოტის გამოცხადება, ეს ოპოზიციის გარკვეული ტრადიციაა და ახლა საერთოდ ახალ მწვერვალს მიაღწიეს – საკუთარ საკითხს, ინტერპელაციას გამოუცხადეს ბოიკოტი. მათ მიერ დაყენებულ საკითხს, რომ მინისტრი მოსულიყო და „კრიტიკის ქარცეცხლში“ უნდა გაეტარებინათ, ამ საკითხს გამოუცხადეს ბოიკოტი. ეს მგონი, მსოფლიო საპარლამენტო ისტორიისთვის უნიკალური შემთხვევაა, მაგრამ რა ვქნათ? ასეთ მდგომარეობაშია დღეისათვის ოპოზიცია და ამ ყველაფრისთვის, რა თქმა უნდა, 26 ოქტომბერს საქართველოს მოქალაქეებისგან სასტიკ პასუხს მიიღებენ.

# ჩვენ ევროპაში გვინდა შევიდეთ, როგორც თანასწორი ქვეყანა და არა როგორც პერიფერიული რეგიონი!

**ჩვენ ევროპაში გვინდა შევიდეთ, როგორც თანასწორი ქვეყანა და არა როგორც პერიფერიული რეგიონი, რაღაც ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონზე საუბრისას „ქრონიკას“ განუცხადა.**

„ფიქრობენ, რომ საქართველო დამოუკიდებელი კი არის, მაგრამ გარკვეული პირობებით და დათქმებით. ანუ, ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი ხალხის სუვერენიტეტი, რომ თავისი ბედი თავად განსაზღვროს, ამას გარკვეული დათქმები აქვს და ზოგს შიგნით და გარეთ წარმოუდგენია, რომ ჩვენ გვყავს მეურვეები ქვეყნის გარეთ და ჯერ რაღაც არასრულფასოვანი ერი, ხალხი თუ სახელმწიფო ვართ და რაღაც ჩვენი არასრულფასოვნების გამო სრულად არ გვაქვს უფლება, რომ ვიმოქმედოთ!.. ჩვენ ევროპაში გვინდა შევიდეთ, როგორც თანასწორი ქვეყანა და არა როგორც პერიფერიული რეგიონი, რაღაც ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებით!..

კანონის განხილვისას, ერთი მთავარი პრინციპული საკითხი იყო, გაგვერკვია, რატომ იყო ასეთი წინააღმდეგობა. ეს იყო მთავარი პრობლემა, რომ გაბედეს საქართველოს მოქალაქეებმა და თქვეს, რომ დონორებმა აქ ასე თავისუფლად კი არ უნდა ხარჯონ ფული, არამედ, საქართველოს მოქალაქეების წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებული. შემოდიოდნენ, თავის გემოზე, როგორც უნდათ, თავისი პოლიტიკური გემოვნებით, მათ შორის, პირდაპირ პოლიტიკურ პროექტებს აფინანსებდნენ საქართველოში, საბოლოოდ ეს იყო „ხავერდოვანი“ რევოლუციის, ქვეყნის გადატრიალების მცდელობა – აღნიშნა პაპუაშვილმა.

# ოპოზიციამ სალომე ზურაბიშვილს თავზე დაახურა მისივე ინიციატივა!

**სალომე ზურაბიშვილის ღალატთან და აგენტობასთან ერთად უვიცობაც დადასტურდა, მათ შორის, ოპოზიციასთან არაერთიანობა, რადგან თავზე დაახურეს მისივე ინიციატივა ერთ საათში, – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრმა გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა.**

მაჭარაშვილის თქმით, რის გამოც რეფერენდუმი არ შედგება, ისაა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ვიდრე არ აღდგება, მანამდე რეფერენდუმი ვერ ჩატარდება.

„პრეზიდენტი რეფერენდუმს საზოგადოებას ისეთ საკითხზე სთავაზობს, რაც უკვე განსაზღვრულია არათუ ხალხში, არამედ კონსტიტუციაში. უნდა, რომ კონსტიტუციის ჩანაწერი კითხვის ქვეშ დადგეს? რა თქმა უნდა, ამ ალოგიკურობის გამო მას პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერა არ ექნება და



რეფერენდუმი ვერ ჩატარდება. ეს შეიძლება არ იცოდა, ან ნაწილობრივ იცოდა, მაგრამ ვიცით, რომ ზეამბიციური ადამიანია და რაღაც უნდა გაეკეთებინა, ახალგაზრდები დაასაქმა, ფურცლები და კალმები აიღეთო, დაწერეთ და ჩემთან მოდითო. მისი მხრიდან ქვეყნის მიმართ კიდევ ერთი არასერიოზულობაა“... განაცხადა მაჭარაშვილმა.

## სოზარ სუბარი:
# ოპოზიცია დაიწყებს ერთმანეთის დახოცვას, ვინ რომელ სიაში მოხვდება და რომელ ადგილზე იქნება...



**„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი ოპოზიციის დაპირებებს გამოეხმაურა. მისი განმარტებით, ოპოზიცია არარეალურ დაპირებებს გასცემს, რის გამოც დასაცინები ხდებიან.**

**სოზარ სუბარმა 2020 წლის არჩევნების შემდგომი პერიოდიც გაიხსენა, როდესაც ოპოზიციის წევრებმა არჩევნების შედეგები არ აღიარეს და ვადამდელ არჩევნებზე საუბრობდნენ. დეპუტატის თქმით, საერთო სიის ფორმირების პროცესში ოპოზიცია ერთმანეთს დაუპირისპირდება.**

„მერამდენედ ჰპირდებიან ქართველ საზოგადოებას არმაგედონის მოწყობას და საბოლოოდ ეს არმაგედონი მხოლოდ საკუთარი თავისთვის და პარტიებისთვის გამოსდით. ყოველ ჯერზე დასაცინები ხდებიან და მიუხედავად ამისა, ამ შეკრული წრიდან ვერ გამოვიდნენ. ოთხი წლის განმავლობაში არ ცნობდნენ არჩევნების შედეგებს და ამ პერიოდში ამბობდნენ, რომ აუცილებლად იქნება ვადამდელი არჩევნები.

აი, დღესაც კი, როცა არჩევნებამდე დარჩენილია ნახევარი წელი, ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ. საბოლოოდ, ისინი [ოპოზიცია] დაიწყებენ ერთმანეთის დახოცვას, ვინ რომელ სიაში მოხვდება და რომელ ადგილზე იქნება იმიტომ, რომ კარგად იციან, რომ ორ ათეულს ვერ გასცდებიან.“

## კახა კალაძე:
# ჩვენ არაფერი გვაქვს დასაპირისპირებელი, ერთიანი ძალისხმევით უნდა შევძლოთ ქვეყნის გაერთიანება, და ღირსეულად შევიდეთ ევროკავშირში

**დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ შესახებ, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ 28 მაისს მიიღო.**

**„მინდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს გამოვეხმაურო. პარლამენტმა ვეტო დაძლია და კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიღებულია. მინდა, მივულოცო ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ბედი, მისი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის მომავალს წყვეტდეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მშვიდ და სტაბილურ გარემოში, არჩევნების გზით.**

ეს არ არის პათეტიკური სიტყვები. დღეს საქართველოს ბედი წყდება არა ხმლით, ან ტანკებით, არამედ ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერით განმტკიცებული გონივრული, ქვეყნის ინტერესებზე მორგებული პოლიტიკით.

გამჭვირვალობის კანონმა უნდა დაიცვას ჩვენი ქვეყანა, პირველ რიგში, ყველა იმ უცხოური ძალების გავლენისგან, რომელთა მიზანიც ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა და მშვიდობის დარღვევაა.

ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებამ იხილა წარმოუდგენელი მასშტაბის ზეწოლა, მუქარა და შანტაჟი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ გავბედეთ და დავიცავით საკუთარი ქვეყანა იმ სცენარისგან, რაც სამწუხაროდ უკრაინაში განხორციელდა; რომ გავბედეთ და ყველას გასაგონად მოვითხოვეთ დასაბუთებული პასუხი, რატომ არ შეიძლება მივიღოთ კანონი, რომელიც მოქმედებს, როგორც ევროპის რიგ ქვეყნებში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. პასუხი იყო ერთი – „იმიტომ“. ის, რაც ნებადართულია, მაგალითად, საფრანგეთისთვის (სადაც სულ ახლახან მიიღეს ანალოგიური კანონი), აკრძალული აღმოჩნდა ჩვენთვის.

მინდა, შევახსენო ყველას, რომ საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამას ემატება მთავარ ოპოზიციურ ძალად შერაცხილი პარტია, რომლის გაუაზრებელი და დამღუპველი პოლიტიკის შედეგად დავკარგეთ ტერიტორიები, მივიღეთ ადამიანების უფლებების არნახული ხელყოფა, დარეკეტებული ბიზნესი და დახურული მედიასაშუალებები. მათი ამოცანა დღესაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება და გარედან დამკვეთების დავალებების შესრულებაა.

ამ გამოწვევების ფონზე საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უცხოური გავლენების შემცირება, რათა შევინარჩუნოთ



მშვიდობა და გაგრძელდეს ქვეყნის სტაბილური განვითარება.

ჩვენ არ გვაქვს უფლება, არგუმენტს – „იმიტომ“ გადავაყოლოთ ქვეყნის ბედი. საქართველოს ინტერესების დაცვა, მისი ევროპული მომავლის დაცვა, დამოუკიდებლობის განმტკიცება და ქვეყნის გამთლიანებისკენ სწრაფვა – ეს არის ჩვენი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რის გამოც „ქართულ ოცნებას“ აქვს მოსახლეობის უმრავლესობის სრული მხარდაჭერა.

საქართველომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ არის სანდო პარტნიორი და დღესაც მზად ვართ მეგობრობისთვის, ჯანსაღი ურთიერთობისთვის, სტრატეგიული პარტნიორობისთვის, მაგრამ ეს უნდა იყოს ორმხრივი. ხელისუფლება მზად არის, პირნათლად შეასრულოს წარმოდგენილი ცხრაპუნქტიანი გეგმა, რომელიც ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანია და გვაქვს მზაობა, გაიხსნას მოლაპარაკებები. მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქნება დაშანტაჟებული, როგორც კანდიდატის სტატუსის დროს მოხდა. გავიხსენოთ ყველამ, კანდიდატის სტატუსის პოლიტიკურად გამოყენება რომ ხდებოდა ქვეყნის და მთავრობის წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა მანიპულაციებს, რომ ქვეყანაში დაპირისპირება და დესტაბილიზაცია გამოეწვიათ.

მივმართავ ქვეყნის მოსახლეობას – ჩვენ არაფერი გვაქვს დასაპირისპირებელი. პირიქით ერთიანი ძალისხმევით, შემართებით უნდა შევძლოთ ქვეყნის გაერთიანება, ტერიტორიების დაბრუნება და ღირსეულად შევიდეთ ევროკავშირში.

როდესაც ჩვენ კანდიდატის სტატუსი ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე არ მოგვანიჭეს, უამრავი სპეკულაცია მოვისმინეთ, რომ თითქოს, ეს საქართველოს ხელისუფლების ბრალი იყო. ვრცელდებოდა მიზანმიმართული მესიჯები, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება გაზრდილიყო. არადა ყველა პარამეტრებით, გაცილებით წინ ვიყავით იმ ქვეყნებზე, ვისაც მაშინ კანდიდატის სტატუსი მიანიჭეს და საქართველო დაჩაგრეს. მაშინ ქვეყნის შიგნით გვეუბნებოდნენ, რომ თითქოს სტატუსის არმიღებით დავკარგეთ მილიარდობით გრანტი. საქართველომ მიიღო კანდიდატის სტატუსი და ვკითხულობ, სად არის ეს მილიარდობით გრანტი? არ ჩანს. ამიტომ ამგვარი სპეკულაციები და ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, არის ძალიან ცუდი.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ყოველთვის სიმართლე უნდა ვუთხრათ, ვისაუბროთ გამოწვევებზე, პრობლემებზე, მიღწევებზე, წარმატებებზე. მე მჯერა, რომ ბევრი მათგანი, ვინც ამ დღეების განმავლობაში აპროტესტებდა გამჭვირვალობის კანონს, დაფიქრდება და თავის თავს მარტივ შეკითხვას დაუსვამს – როგორ შეიძლება გამჭვირვალობა წინააღმდეგობაში მოდიოდეს ევროპულ მომავალთან და ღირებულებებთან? იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ვინც უცხოეთიდან 20%-ზე მეტით ფინანსდება, წლის განმავლობაში ერთხელ უნდა წარმოადგინონ ფინანსური დეკლარაცია და საზოგადოებას უთხრან, ვისგან მიიღეს თანხები და რა პროექტში რამდენი დაიხარჯა. დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი გააკეთებს სწორ ანალიზს, რეალურად რა ხდება.

**მჯერა, რომ ამ პროცესების შემდეგ ქვეყანა ეკონომიკურად კიდევ უფრო გაძლიერდება. რა თქმა უნდა, ძლიერი სახელმწიფო ძლიერი ეკონომიკით, უფრო მალე და ღირსეულად გახდება იმ ოჯახის წევრი, რასაც ევროკავშირი ჰქვია“.**

# იყიდის რუსეთი ქართველების გულის მოგებას?!

**რა ხდება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ და რამდენად რეალურია მათ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თბილისსა და მოსკოვს შორის მიდის კომუნიკაცია, რა ფორმით შეიძლება ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს? ვინ ავრცელებს ხმებს, რომ აფხაზეთის რკინიგზის გახსნის სანაცვლოდ, თითქოს დაწყებულია მოლაპარაკება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების თაობაზე? აფხაზები წერენ, თითქოს რუსები მზად არიან აფხაზეთში გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ და საქართველოს, გარკვეული შეთანხმების სანაცვლოდ, ტერიტორია დაუბრუნოს. მათი ვარაუდით, შესაძლოა აფხაზეთის კონფედერაცია გადაწყდეს, სადაც აფხაზეთ-სამაჩაბლოს საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით ვეტოს უფლება ექნება.**

**მეორე ვერსიით, აფხაზეთის სამი რაიონის გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის გადაცემა უნდა მოხდეს, რათა საქართველოდან ოჩამჩირის ბაზის დაკანონებისა და რკინიგზის გახსნის პირობა მიიღონ. ეს ვერსიები აფხაზეთში ბოლო დღეების განმავლობში ვრცელდება და სრულ პანიკაში არიან. თუმცა რაზე ან ვისზე დაყრდნობით ავრცელებენ ისინი ამ ინფორმაციას,ჯერჯერობით უცნობია.**



**ფაქტი ერთია, რომ კრემლსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის ვითარება უკიდურესად დაძაბულია. ასლან ბჟანიამ თანამდებობიდან დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი გაათავისუფლა. ინალ არძინბა კრემლის კაცად ითვლებოდა. თუმცა აფხაზეთში ეჭვობენ, რომ მოსკოვმა თბილისთან ურთიერთობის სანაცვლოდ, ის ბჟანიას გაათავისუფლებინა. დაპირისპირებაა ასევე რუსების უძრავი ქონების დაკანონებაზე. აფხაზებს ეჭვი აქვთ, რომ რუსები მათი პრობლემებით უკვე შეწუხებულები არიან და საქართველოსთვის მათ დათმობას აპირებენ. რა ფორმით დასჯის რუსეთი აფხაზ სეპარატისტებს, უცნობია, თუმცა მსგავს ინფორმაციას თბილისში არავინ ადასტურებს.**



პრემიერმა ირაკლი კობახიძემ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს მხოლოდ ის თქვა, რომ 2030 წელს უნდა ვიცხოვროთ აფხაზ და ოს და-ძმებთან ერთად.

„1990 წელს ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მას შემდეგ საქართველო გადის ერთგვარ მოსეს გზას, რომელიც დარწმუნებული ვარ, აღთქმულ მიწამდე აუცილებლად მიგვიყვანს. ჩვენი აღთქმული მიწა, ანუ ქართული ოცნებაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლის თავზე, 2030 წელს, ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად – ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა გახდეს 2030 წელს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი“, – თქვა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერის ამ განცხადებას მოსკოვიდან უმალვე გამოეხმაურნენ. „არ მესმის, როგორ აპირებს კობახიძე 2030 წლისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას“, – ამბობს რუსეთის დუმის დეპუტატი, დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე კონსტანტინ ზატულინი.

– არ ვიცი, რა შთააგონებდა საქართველოს პრემიერს, გარდა პატრიოტიზმის დემონსტრირების სურვილისა. ნამდვილად არ მესმის, როგორ აპირებს ის 2030 წლისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ვითარდებიან, იმყოფებიან რუსეთის მფარველობის ქვეშ და აღიარებულები არიან. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ გზით საქართველოს პრემიერ-მინისტრს სურს, კიდევ ერთხელ გამოაცხადოს თავი პოლიტიკოსად, რომელიც არანაირად არ დაუთმობს ოპოზიციას ევროკავშირში გაწევრების ან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების პრეტენზიებს, – ამბობს ზატულინი.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ რაიმე ოფიციალურ დონეზე მოსკოვსა და თბილისში შორის, აფხაზეთსა და ოსეთზე საუბარი არ მიმდინარეობს.



ზაქარეიშვილი შეეცადა თუნდაც ერთი წყარო მოეძია, რომელიც დაადასტურებდა ორ ქვეყანას შორის კულუარულ შეხვედრებს, მაგრამ ვერ იპოვა.

**რუსებს ჭამა მადაში მოსდით და ახლა აფხაზეთზე და ოსეთზე მეტად ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტი აინტერესებთ. აქ საუბარია ჩრდილო - სამხრეთის პროექტზე, სადაც პუტინმა 500 მილიარდი დოლარი ჩადო. ამ პროექტში საქართველოს როლი თუ არ იქნება ჩართული, წარმოუდგენელია მისი განხორციელება მოხდეს.**

„ამ თემაზე საუბარი აფხაზურ და ოსურ მედიაში უკვე დიდი ხანია დაიწყო. მე მათი შიშის მესმის, რადგან ფიქრობენ, თუკი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დალაგდება, მაშინ აფხაზეთსა და ოსეთს ქართველებს გადასცემენ. არ ვიცი, საიდან წამოვიდა და ვინ არის ამ ჭორების პირველწყარო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საუბარი მხოლოდ ექსპერტულ დონეზე მიდის. ყველაფერი მხოლოდ დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლების რაღაცა შიშებზეა დაყრდნობილი.

სხვა რაიმე ხელჩასაჭიდი, რომ ამაზე რუსეთსა და საქართველოს შორის საუბარი მიდის, არ არსებობს. მე ვარ ძალიან დაინტერესებული და მყავს ძალიან ბევრი ნაცნობი, ვისთანაც ამ ინფორმაციის გადამოწმებას ვცდილობ, მაგრამ არავინ ადასტურებს, რომ ამაზე რაიმე სახის დისკუსია მიდის. თუნდაც კარს მიღმა რაღაც დონეზე. კონფედერციის საკითხი, გვახსოვს, მხოლოდ რუსებთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა ხიდაშელმა ახსენა გია ვოლსკისთან შეხვედრაზე. მასაც ვოლსკიმ აუხსნა, რომ ეს თემა არ განიხილება და ამაზე დისკუსია წარმოუდგენელია. სხვა რაიმე შეხვედრა ამ საკითხზე არ ყოფილა. ამიტომ მე ვვარაუდობ, რომ ეს არის ხელოვნურად შემოგდებული საკითხი ექსპერტების მიერ, შესაძლოა, ამის უკან კრემლიც იდგეს, რომელიც გარკვეულწილად, განწყობების მოსინჯვას ცდილობს, – ამბობს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, რუსეთს რომ სურდეს ამ საკითხზე რეალური საუბარი, მაშინ ის ამაზე განცხადებას გააკეთებდა ოფიციალურ დონეზე და კონკრეტულ ნაბიჯებსაც გადადგამდა.

„რუსეთი თუ რეალურად არის დაინტერესებული, რომ საქართველოსთან ეს პრობლემა მოაგვაროს და ოკუპირებული საკითხი გადაწყდეს, მაშინ, პირველ რიგში, ამაზე ოფიციალური განცხადება თუნდაც ლავროვმა უნდა გააკეთოს. უნდა თქვას, რომ ვეღარ ვუვლით აფხაზებს და ოსებს. სულ პრობლემები აქვთ, ვერ შედგნენ, როგორც სახელმწიფო და ეს აღიარება უკან წაიღონ! შემდეგ ჯარი უნდა გაიყვანონ და ა.შ. ეს არის მთელი პროცედურები, რომლის წინაპირობაც არ ჩანს.

ეს არის ზღაპარი, რომ რუსეთი ასე ხელის აღებით ვინმეს რამეს აჩუქებს, მით უმეტეს არაფრის გარშე. ამიტომ მაინც სპეციალურად შემოგდებული თემა მგონია, თუნდაც წინასაარჩევნოდ, – ამბობს ზაქარეიშვილი.

სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ აფხაზებსა და ოსებში დაწყებული ეს პანიკა შემთხვევითი არ არის. მაისაია ფიქრობს, რომ ასეთი ხმები რეალობაზე რომ არ იყოს დაყრდობილი, ტყუილად არ გავრცელდებოდა. მას პრემიერ კობახიძის განცხადებაც ყურში მოხვდა, როცა მან 2030 წელს აფხაზებთან და ოსებთან ერთად ცხოვრება ახსენა.



– მე ვფიქრობ, ამ ეჭვების საფუძველი არსებობს, რადგან ამ საგარეო კურსის ცვლილებას ყველა ხედავს და ავტომატურად, აფხაზებსა და ოსებს შორის ეს შიშიც გაჩნდა. როგორც ჩანს, ამ კანონის მიღების შემდეგ, აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე მოლაპარაკებები დაიწყება. მე ამის მტკიცებულებები არ მაქვს, მაგრამ ამას ვვარაუდობ. აფხაზები ამიტომ დილემის წინაშე დგებიან და მათ აქვთ უკვე რაღაცა ინფორმაციები ამაზე.

26 მაისს პრემიერმაც განაცხადა, კონფედერაციულ სახელმწიფოზე და მინიშნებაც გააკეთა. რუსებს ჭამა მადაში მოსდით და ახლა აფხაზეთზე და ოსეთზე მეტად ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტი აინტერესებთ. აქ საუბარია ჩრდილო - სამხრეთის პროექტზე, სადაც პუტინმა 500 მილიარდი დოლარი ჩადო. ამ პროექტში საქართველოს როლი თუ არ იქნება ჩართული, წარმოუდგენელია მისი განხორციელება მოხდეს. აქედან გამომდინარე, მას სჭირდება მთლიანი საქართველო და ქართველებისთვის გულის მოგება. ამიტომ არაა გამორიცხული, ის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე წავიდეს.

ფაქტია, რომ გარკვეულ დონეზე საუბარი მიდის, – ამბობს მაისაია.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**

## ოთარ შამუგია: სოფლად უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 13.5%-მდეა შემცირებული

**გუშინ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ პარლამენტს სამინისტროს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიში წარუდგინა.**



„სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 7,5 მილიარდ ლარს გადააჭარბა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება თითქმის 2,0 მილიარდი ლარია. სწორედ ამ პროგრამებმა მისცა საშუალება და სტიმული ფერმერებს და ბიზნესსექტორს განეხორციელებინათ ამ მასშტაბის ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში. მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების შედეგია ის, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვება საშუალოდ 10%-ით იზრდება და 2023 წლის მონაცემებით, რეკორდული 16.6 მილიარდი ლარი შეადგინა, მოცემულ პერიოდში, სოფლად უმუშევრობის დონე შემცირდა 7.8 პროცენტული პუნქტით და უმუშევრობის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 14.6% შეადგინა. 2024 წლის I კვარტლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუმჯობესებულია და 13.5%-მდეა შემცირებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ჩვენ მიერ მხარდაჭერილ საწარმოებსა და ბაღებში 2023 წლის მდგომარეობით, როგორც მუდმივად ასევე სეზონურად, 100,000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული“...

## სიღარიბეს თავი დააღწია 145 000 - ზე მეტმა ადამიანმა...

**2023 წელს, წინა წელთან შედარებით სიღარიბეს თავი დააღწია 145 000 - ზე მეტმა ადამიანმა. მაჩვენებელი 15.6% დან 11.8% მდე შემცირდა**

„საქსტატის“ცნობით, 2023 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) წინა წელთან შედარებით 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8 პროცენტი შეადგინა.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 5.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.6 პროცენტს გაუტოლდა.

„2023 წელს, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელმა 16.0 პროცენტი შეადგინა (-4.3 პროცენტული პუნქტი), 18-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 11.5 პროცენტი (-3.8 პროცენტული პუნქტი), ხოლო 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში - 8.0 პროცენტი (-2.5 პროცენტული პუნქტი).

# თბილისელები ამ ხიდის გახსნაზე ოცნებობდნენ!



**ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელ ახალ საავტომობილო ხიდზე ავტომობილების გადაადგილება უკვე შესაძლებელია**

ახლად დასრულებული პროექტი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** და დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** გახსნეს.

**„მინდა მადლობა გადავუხადო კომპანია „კონსტრაქშენ სერვისს", რომელიც ამ პროექტზე მუშაობდა. ეს არის ქართული კომპანია და ყველა დეტალი, რომელიც გამოყენებულია ხიდისთვის, წარმოებულია საქართველოში. მინდა თითოეულ თქვენგანს, დედაქალაქის მერიის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ზრუნავენ ამ ქალაქზე, ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებზე. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრ, მნიშვნელოვან და სასიხარულო პროექტს განვახორციელებთ და დარწმუნებული ვარ, თბილისის მოსახლეობა კიდევ უფრო კომფორტულად იცხოვრებს ჩვენს დედაქალაქში.**

**ამ ქალაქს აქვს უდიდესი რესურსი და შესაძლებლობა, საჭიროებს განახლებას და მოწესრიგებას და ბოლო წლების განმავლობაში, დამეთანხმებით, რომ ბევრი სასიკეთო პროექტი გაკეთდა. მომავალში კიდევ უფრო მეტი გაკეთდება, მეტი პროექტი განხორციელდება იმისთვის, რომ ჩვენი დედაქალაქი იყოს კიდევ უფრო ლამაზი, მიმზიდველი და საცხოვრებლად უფრო კომფორტული. გილოცავთ ყველას, დღეიდან უკვე შესაძლებელია ამ ხიდის გამოყენება და ერთ საათში ის ავტომობილებისთვის გაიხსნება"**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო სახიდე გადასასვლელი, რომელიც უკვე არსებული საფეხმავლო ხიდის გასწვრივ აშენდა, 260 მეტრი სიგრძისაა და ოთხი სამოძრაო ზოლისგან შედგება, ხოლო მანძილი წყნეთის გზატკეცილიდან უნივერსიტეტის ქუჩამდე 532 მეტრია.

ხიდის სამშენებლო სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა. მშენებლობა 2021 წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო და 2024 წლის მაისის ბოლოს დასრულდა. პროექტის ღირებულება ჯამში 36 400 000 ლარს შეადგენს.

## ირაკლი კობახიძე:

# ახალი ხიდი განსაკუთრებული გემოვნებით არის აგებული!

**„მოგილოცავთ ამ არაჩვეულებრივ დღეს, ამ არაჩვეულებრივი პროექტის, ბაგების საავტომობილო ხიდის გახსნას. ეს ტერიტორია მახსოვს რამდენიმე წლის წინ, როდესაც იყო აბსოლუტურად განუვითარებელი, ნაცრისფერი სივრცე ჩვენს ქალაქში და მას შემდეგ, რაც განხორციელდა პირველი ინფრასტრუქტურული პროექტები, სრულიად შეიცვალა იერსახე ქალაქის ამ უბანმა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქალაქისთვის და ეს პროექტიც ხელს შეუწყობს ქალაქის კიდევ უფრო მეტად განვითარებას, ამიტომ მინდა, მივულოცო ეს დღე თბილისელებს, ყველას, ვისაც უხარია ჩვენი დედაქალაქის განვითარება. მინდა, აღვნიშნო, რომ როგორც ყოველთვის, ეს პროექტიც განსაკუთრებული გემოვნებით არის შესრულებული, განხორციელებული და ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის პირადად ქალაქის მერს კახა კალაძეს და მთლიანად მერიის შემადგენლობას. ასევე მადლობა მინდა, გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო ამ არაჩვეულებრივი პროექტის განხორციელებაში, რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო პროექტის განხორციელებაში. წარმატებები მინდა, ყველას გისურვოთ და კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს ამ არაჩვეულებრივი პროექტის დასრულებას"...**






# შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი წინ მიიწევს!

**„მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე" გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, 2024 წლის 15 მაისს საქართველოში გამართული მე-7 მინისტერიალის გადაწყვეტილების შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დირექტორთა საბჭოს წევრმა ზვიად გაჩეჩილაძემ ხელი მოაწერა აზერბაიჯანის, უნგრეთის და რუმინეთის ელექტროგადამცემი ქსელის ოპერატორებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.**

დოკუმენტი განსაზღვრავს საერთო თანამშრომლობის ჩარჩოს ბუქარესტში ერთობლივი საწარმოს შექმნისთვის საჭირო პროცედურების დასაწყებად, რამაც სამომავლოდ ხელი უნდა შეუწყოს „მწვანე ენერგიის დერეფნის" პროექტის განხორციელებას.

შეხვედრაზე განიხილეს ოთხი ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი საწარმოს შექმნის პროცედურული და ტექნიკური დეტალები.

„მწვანე ენერგიის დერეფნის" პროექტი მიზნად ისახავს განახლებადი ენერგიის ტრანსპორტირებას საქართველოდან აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ისეთი გადამცემი ინფრასტრუქტურის მშენებლობით, როგორიცაა შავი ზღვის წყალქვეშა სადენი.

# 19 უმაღლესი სასწავლებელი – ამერიკაში

### განათლების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები აშშ-ში გამართულ გამოფენაში მონაწილეობენ

**განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს 19 სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს, რომელიც ნიუ ორლეანში განათლების საერთაშორისო ასოციაციის (NAFSA) ორგანიზებით იმართება.**




გამოფენის ფარგლებში, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, შეხვედრებს მართავენ სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, სადაც თანამშრომლობის გაღრმავების, ერთობლივი პროგრამების შემუშავებისა და სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ხელშეწყობის საკითხებს განიხილავენ.

NAFSA უმაღლესი განათლების სფეროში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული საერთაშორისო გამოფენაა, რომელშიც 100-ზე მეტი ქვეყანა და 200-მდე ორგანიზაცია იღებს მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტებს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში.



# ბათუმში საზღვაო ტურისტული სეზონი ოფიციალურად იხსნება

**9 ივნისს ბათუმში საზღვაო ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნება.**

გუშინწინ გამართულ მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ… 

გუშინწინ გამართულ მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა, რომ არის დადებითი სტატისტიკა და მუნიციპალიტეტებს და უწყებებს კოორდინირებული მუშაობისკენ მოუწოდა, რათა ბათუმი და აჭარა ღირსეულად დახვდეს მოახლოებულ საზღვაო სეზონს.

რეგიონში უცხოელი ვიზიტორების ვიზიტების 10 %-იანი მატებაა. გაზრდილია ვიზიტების რაოდენობა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტშიც. ზაფხულში ბათუმის აეროპორტიდან 12-ზე მეტი მიმართულებით შესრულდება რეისები.

აჭარა ახალ სეზონს სიახლეებით ხვდება როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის, ისე სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის მხრივ. განხორციელდა ზღვის წყლის მონიტორინგი. წყლის აღებული ნიმუშების კვლევის მიხედვით აჭარის სანაპირო ზოლში ზღვის წყლის კვლევებმა აჩვენა, რომ იგი შეესაბამება ყველა დადგენილ ნორმას.

სიახლეებით ხვდება ზაფხულის ტურისტულ სეზონს ბათუმის ბულვარი. დასასრულს უახლოვდება ახალ ბულვარში სკეიტ და როლერ პარკის სამშენებლო სამუშაოები. ასევე ველობილიკის რეაბილიტაციის პროექტი. წელს ბათუმი უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს ქვიშის ფეხბურთში.

# აფხაზთა და ქართველთა დაკარგული შვილების ძიებაში...

**29 მაისს ქ. სტამბოლში გაიმართა ქართველი და აფხაზი მონაწილეებისაგან შემდგარი საკოორდინაციო მექანიზმის მე-16 შეხვედრა, რომლის მიზანია აფხაზეთში 1992-93 წლების შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიება და ხვედრის დადგენა. შეხვედრას, როგორც ნეიტრალური შუამავალი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) თავმჯდომარეობდა.**




ამ დრომდე საკოორდინაციო მექანიზმის მუშაობის შედეგად 526 ადამიანის ნეშტი იქნა ნაპოვნი და ექსჰუმირებული. მათგან 285-ია ამოცნობილი და გადაეცათ ოჯახებს სათანადო პატივით დასაკრძალად. ეს შესაძლებელი გახდა მიმდინარე, მკაფიოდ ჰუმანიტარული პროცესის მონაწილეების ერთობლივი ძალისხმევით და აქტიური ჩართულობით.

შეხვედრაზე, გაუჩინარებული ადამიანების ადგილსამყოფელის გარკვევაში მიღწეული შედეგების გარდა, ყურადღება გამახვილდა სამარხების შესახებ შემდგომი ინფორმაციის მოძიების აუცილებლობასა და ამოცნობის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მონაწილეებმა გაცვალეს მათ ხელთ არსებული დამუშავებული ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომი მოძიებისა და დამატებითი ადამიანების იდენტიფიცირების პროცესს. საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში დღემდე 1860 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა, მათი ოჯახები მოუთმენლად ელიან კონკრეტულ პასუხს და მრავალწლიანი გაურკვევლობის დასრულებას.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ პრაქტიკული ნაბიჯების თაობაზე, რათა უფრო მეტი ძალისხმევით შეგროვდეს და გაიცვალოს ინფორმაცია და უფრო სწრაფი ტემპით წარიმართოს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროცესი.

**ამ ინფორმაციას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ავრცელებს.**

# უბნები თბილისში, სადაც შესაძლოა, მეწყრული პროცესები განვითარდეს

**გარემოს ეროვნულმა სააგენტომ საინფორმაციო ბიულეტენი – „საქართველოში 2023 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2024 წლისთვის“ მოამზადა.**

დოკუმენტში საუბარია იმ საფრთხეებზეც, რომელიც შესაბამისი პირობების (უპირველეს ყოვლისა, უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლა და მიწისძვრები) წარმოქმნის შემთხვევაში, შესაძლოა, განვითარდეს. ამასთან, თბილისში დასახელებულია უბნები, სადაც, გეოლოგიური პროცესების გააქტიურებაა მოსალოდნელი.



კერძოდ, მეწყრული და ღვარცოფული პროცესების გააქტიურება მოსალოდნელია მდ. ვერეს ხეობაში, ახალდაბის ხევში, მდ. გლდანის ხევის, ხევძმარის, უკანხევის, ლეღვთა ხევის, დუქნის ხევის, წორწორას ხევის ხეობებში, ლიბანის ქუჩაზე, მარშალ გელოვანისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე, ნუცუბიძის ფერდობზე, მუხათგვერდის სასაფლაოს მისასვლელ გზაზე, „სვანეთის უბნის“, ბერთუბნის, გიორგიწმინდის დასახლებებში.

ამასთან, კლდეზვავ ქვათაცვენის პროცესები კვლავ გაგრძელდება თბილისი-მარნეულის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთზე, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის გასწვრივ, მდ. ლეღვთა-ხევის ფერდობებზე, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზაზე, ნუცუბიძის ფერდობზე, კოსტავას ქუჩაზე (ფიქრის გორის მიმდებარედ), მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (თამარ მეფის და ვახუშტის ხიდის მიმდებარე უბნები), თბილისში შემოსასვლელი გზის მარჯვენა ფერდობზე (ზაჰესის მიმდებარედ).

# ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს საფრთხე არ ემუქრება

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

„2024 წლის 26 მაისს დუშეთის მუნიციპალიტეტის (მაღაროსკარის თემი) სოფელ ჩარგალში ხანგრძლივი წვიმისა და მდინარე ჩარგლურას ადიდების შედეგად განვითარდა მეწყრული პროცესები, რამაც დააზიანა სახლ-მუზეუმის სიახლოვეს, მდინარე ჩარგლურას მარჯვენა მხარეს, კალაპოტის ნაპირსამაგრი ჯებირი და სახლ-მუზეუმთან დამაკავშირებელი ხიდის მარჯვენა ნაწილი.



27 მაისს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დუშეთის მუნიციპალიტეტის (მაღაროსკარის თემი) სოფელ ჩარგალში ჩავიდნენ და ადგილზე გაეცნენ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის მდგომარეობას. ადგილზე იმყოფებოდნენ გეოლოგებიც, რომლებმაც უკვე შეაფასეს მდგომარეობა და, წინასწარი ინფორმაციით, სახლ-მუზეუმსა და მის ტერიტორიას საფრთხე არ ემუქრება, ხოლო, შესაბამისი გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაიგეგმება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, პირველივე დღიდან სტიქიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოებში მონაწილეობს მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფოს რწმუნებულის ადმინისტრაცია და დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. – ნათქვამია განცხადებაში.

# წელს საქართველოში 20-30 ათასი ტონით მეტი ხორბლის მოსავალი გვექნება



**„საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგავას განცხადებით, მოსალოდნელია, რომ წელს საქართველოში ხორბლის მოსავალი გასული წლის მოსავალზე 20-30 ათასი ტონით მეტი იქნება.**

ამის შესახებ სილაგავამ მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ხორბლის მოსავალი რამდენიმე კვირაში საქართველოშიც იქნება. უახლოესი კვირების განმავლობაში მოსავლის აღება დაიწყება. წვიმები მოქალაქეებისთვის, შეიძლება, ძალიან შემაწუხებელი იყო, თუმცა მოსავლის მიმართულებით საკმაოდ კარგი ტენდენცია გამოდგა. საქართველოში კარგი მოსავლის პირობა ჩანს. რამდენიმე კვირას სტაბილური, ნორმალური ამინდი უნდა იყოს იმისთვის, რომ მოსავალი დროულად იქნეს აღებული, დაბინავებული. საქართველოში წინასწარი მონაცემები, ანალიტიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ საკმაოდ კარგი მოსავალი იყოს. ფასის ცოტა მაღლა წასვლა ფერმერებს აწყობთ, რადგან მეტ შემოსავალს მიიღებენ, წინა, რთული სეზონის შემდეგ ამოსუნთქვის საშუალება ექნებათ.

წინა წელს საქართველოში 150 000 ტონა ხორბლის მოსავალი იყო, რაც სტატისტიკით ვიცით. წელს ალბათ, დაახლოებით, 20-30 ათასი ტონით მეტი იქნება. ეს წინასწარი მონაცემებია.

აქვე შემიძლია ვთქვა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეხვედრა გვქონდა, ასევე მარცვლეულის მწარმოებლებსაც , შემდეგ შეხვედრა ერთობლივად გვქონდა, მეპურეებსაც შეხვდებიან. შემდეგ ერთობლივი შეხვედრა გვექნება. საითკენ მიმყავს ლაპარაკი: მალე შტაბი შეიქმნება, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარზე ხორბლის მოსავლის აღება-დაბინავების, რეალიზაციის, პურის ფასის შენარჩუნების და ა. შ. საკითხების მონიტორინგს. ვფიქრობთ, ეს ეფექტიანი იქნება. მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს ჩვენც და სხვა მწარმოებლებს (პური იქნება, მარცვლეულის წარმოება თუ წისქვილკომბინატი) გაუგებრობები, გარკვეულწილად, თავიდან ავიცილოთ. ურთიერთობები სწორად დავალაგოთ“, – განაცხადა სილაგავამ.

# Balenciaga-მ დემნას ახალი კოლექციიდან კიდევ ერთი მოდელი წარადგინა



**ფრანგული მოდის სახლი 2025 წლის გაზაფხულის კოლექციის ჩვენებისთვის ემზადება. შოუ 30 მაისს იგეგმება. ამჯერად ლოკაციად არა პარიზი, არამედ ჩინეთის უდიდესი ქალაქი – შანხაი შეირჩა.**

ბრენდი, რომელსაც ქართველი დიზაინერი დემნა ხელმძღვანელობს, ბოლო დღეების განმავლობაში ახალი კოლექციიდან ექსკლუზიურ კადრებს ავრცელებს. ჯერ ვიხილეთ ე.წ. **Giant Bootie**, ახლა კი, მოდის სახლი კიდევ ერთ ფეხსაცმელს გვთავაზობს.

**Platform Sneaker** – ასე ჰქვია **Balenciaga**-ს ახალ სპორტულ ფეხსაცმელს, რომელსაც ბრენდის ოფიციალურ ინსტაგრამზე უკვე 100,000-ზე მეტი მოწონება აქვს.

**Balenciaga**-ს ახალი კოლექციის სრულად სანახავად თვალი ადევნეთ ოფიციალურ გვერდებს, როგორებიცაა: **Balenciaga, Kering da Demnagram.**



## ჯემალ დავლიანიძე

# ღვთისა და მამულისთვის თავშეწირული

**ვერანაირი პოლიტიკოსთა ჯგუფი, ეშმაკეული სულით აღვსილი ხროვა თუ ბანდა, ზვიად გამსახურდიას „მზის ამოსვლას“ ვერ შეაჩერებს! მისი ცხოვრება და მარტვილობაც სწორედ ამის დასტურია!**





მხედრიონელები

დასაწყისი იხილეთ N60, 61-62-63-ში

**როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნა ნამდვილად იყო გადაწყვეტილი და, სხვათა შორის, გარკვეული რაოდენობა ზვიადის მომხრეებისა, რა თქმა უნდა, გამწარებულები - კიდევაც ჭოჭმანებდნენ - იქნებ ღირდეს კიდეც ეს საქმე, მერე დანარჩენ საქართველოსაც გავაერთიანებთო...**

საეჭვო არცაა, რომ ჯაბა იოსელიანი, როცა საქართველოს ორად გახლეჩაზე ესაუბრება მავანს, რაღა თქმა უნდა, პიროვნებას არ ასახელებს, მაგრამ... უთუოდ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობაშია, და ერთ-ერთ გენერალს (იქნებ ბეპაევსაც!) ესაუბრება!

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ დასკვნის სახით შემოვიფარგლები კითხვებით, რომელიც ე.წ. „მსოფლიო დემოკრატიისადმია“ მიმართული:

1. **რატომ მიცურავდა „დინების საწინააღმდეგოდ“ ზვიად გამსახურდია და რა გახლდათ ეს „დინება“, რასაც ევროამერიკული მსოფლიოს ახალი მეწესრიგეები მისდევენ?**

2. **დღემდე, რატომ არ დაგმეს „ჩვენმა გეოსტრატეგიულმა პარტნიორებმა“ – ევროპამ და ამერიკამ 1991-1992 წლებში საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალება, იგივე პუტჩი, როცა შევარდნაძე-სააკაშვილის პარლამენტებმა ოფიციალურად აღიარეს ეს ვანდალური ქმედება?**

3.– **საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტის მიერ ნაღიარები სამხედრო გადატრიალება რატომ ითვლება დღემდე ე.წ. სახალხო აჯანყებად და რატომ არც ერთმა ხელისუფლებამ არ დასაჯა პუტჩის აღმსრულებელნი და დამგეგმავები?**

4. **ვინ წაიღო 1991-1992 წლებში, სამხედრო გადატრიალების მომდევნო თვეებში ქართველი ხალხის ის ქონება, რომელიც დაგვრჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ?**

5.– **ვინ და რატომ მოუწყო ეკონომიკური, საშინელი ბლოკადა ეროვნულ ხელისუფლებას და, თუ ეს მხოლოდ რუსეთმა ჩაიდინა, სად იყო ამ დროს დანარჩენი „დემოკრატიული მსოფლიო“, რომელიც დღედაღამ ჩვენთან დიდ მეგობრობაზე თუ პარტნიორობაზე ყვირის ხმამაღლა?**

6.– **რატომ დაივსო ყურთასმენა „დემოკრატიულმა მსოფლიომ“ საქართველოში მომხდარ სამხედრო გადატრიალებისას, რატომ შესცქეროდა ეს ყბადაღებული ევროამერიკა – ჩვენი „მეგობარი“, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებული განდიტურ-ქურდული სამყაროს მიერ ჩადენილ დანაშაულს და რატომ უწოდეს ზვიად გამსახურდიას „პროვინციელი ფაშისტი“?**

7.– **თუ ზვიადი, „რადიო თავისუფლების“ და „ამერიკის ხმის“ მიერ გავრცელებული ხმის მიხედვით – „ფაშისტი, უზურპატორი და დიქტატორი“ გრძანდებოდა, რატომღა დაკრძალა მშობლიურმა ქვეყანამ და ქართველმა ხალხმა მთაწმინდაზე?**

8.– **რატომ ამტკიცებდა ევროამერიკის მასმედია ინფორმაციას, რომ 1993 წელს საქართველოში დაბრუნებული კანონიერი პრეზიდენტი იყო განდეფორმირებების უფროსი და სად იყო „დემოკრატიული სამყარო“, როცა ზვიად გამსახურდიას ტყეებში მოსაკლავად დასდევდნენ?**

9.– **ვინ აფარებდა ხელს თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანს, ედუარდ შევარდნაძეს, მრავალ ჯალათს და, რაც მთავარია პუტჩის მომწყობ ყველა იდეოლოგს?**

10.– **როგორ მოხდა, რომ 1999 წელს ამერიკის კონგრესმა მოიცალა ჩვენი პატარა ქვეყნისთვის და ზვიადის ყველა მომხრე ანუ საქართველოს მოსახლეობის 87% ტერორისტად აღიარა? სად დამალეს ეს გადაწყვეტილება და დღემდე რატომ არ არის ცნობილი ეს საშინელება ქართველებისთვის?**

11.– **ვინ, რა ძალამ „გადააფიქრებინა“ რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს ყაზბეგში მიღებული ოქმის აღსრულება და სააკაშვილმა ვისი კარნახით აღადგინა ყაზბეგის მოლაპარაკების დროს ელცინის თანხმობით გაუქმებული სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი?**

12.– **ვინ ებრძვის მართლმადიდებლობას და რატომაა ქართულ ეკლესიაში ამდენი სადავო საკითხი? ვინ არის მართლმადიდებლობის აღმოსაფხვრელად მოვლენილი?**

13.– **რატომ, ვისი დავალებით გაჰყვირის პოლიტიკური ელიტა, რომ ქართველები ვართ ევროპელები? განა ევროპელებმა არ იციან, ჩვენ ქართველები, კავკასიელები ვართ?**

14.– **რატომ ვრცელდება საშინელი პორნოგრაფია?**

15.– **ვინ უწყობს ხელს ჰომოსექსუალიზმს?**

16.– **ვინ უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების უცხოელებზე გაყიდვას?**

* * *

**ზვიადი** 1978 წელს დაღესტანში კასპიისპირეთში, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე, დაბა კოჩუბეიში გადმოასახლეს.

1977 წლიდან მეც იქ ვიმყოფებოდი შემოქმედებითი მივლინებით. ვწერდი რომანს ქართველ მეცხვარეთა და იქ დასაქმებული სპეციალისტების შესახებ!

ზვიადს 1966 წლიდან ვიცნობდი და ყიზლარში შეხვედრამ ორთავე გაგვაოცა... შემდეგ კი, შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მისთვის კატორღის ტვირთი შემემსუბუქებინა!

გვიანი შემოდგომის ერთ დილას გავაღვიძე და ჩემი „ჟიგულით“ მივაშურეთ ნოღაეთის ტრამალებს, სადაც მრავალი სახეობის ცხოველი, ფრინველი და ანტილოპა საიგა იზამთრებდა!

ამ ანტილოპას საათობით უნდა სდიო ღოროჩოღორო ტრამალში, სადაც მრავალი ავტომანქანა და, მათ შორის, მონადირეც დამტვრეულა!

საჭეს მე ვუჯექი. ზვიადი ჩემ გვერდით იჯდა ჩაწეულ სარკმელთან. სწორედ მას უნდა გაესროლა!

ერთ საათში წავაწყდით საკმაოდ მოზრდილ ჯოგს – რამდენიმე ასეული მაინც იქნებოდა!



ზვიად გამსახურდია და რიჩარდ ნიქსონი

დავედევნეთ! ანტილოპა სწრაფია და თითქმის დაუღლელი. რამდენიმე საათია საჭირო და სასროლ მანძილზე მხოლოდ მაშინ მიეწევი, როცა სწორ ადგილს იპოვი.

ამ დევნისას მხოლოდ ორჯერ მივუახლოვდით სასურველ მანძილზე. კიდეც დავიყვირე: ზვიად, ესროლე-მეთქი, მაგრამ ორჯერვე ვერ მოახერხა გასროლა!

ბოლოს და ბოლოს, ანტილოპამ ბორცვიან ადგილებში შეგვასწრო და გაბრაზებულმა მანქანა დავამუხრუჭე. ბენზინის ავზის შევსება დავიწყე. ხმას არ ვიღებ. ზვიადს არაფერს ვეუბნები, ხელი მოგვეცარა და ამაში, შინაგანად, ზვიადს ვსაყვედურობ!

ანტილობა კი ჩვენს ჯიბრზე მოშორებით დგას და ამაყად გამოგვცქერის, რამაც უფრო გამაღიზიანა და ჩემსავე თავს ხმამაღლა ვუთხარი: „რატომ არ წამოიღე კარაბინი ანდა მცირეყალიბიანი შაშხანა?“

ამ დროს ზვიადი ღიმილით მეკითხება:

*– წავიხემსოთ?*

სანოვაგე გავშალე საბარგულზე – ლალისფერი ღვინო ჩამოვასხი. კრინტს არ ვძრავ.

თითქმის გაბუტული ვარ და მრისხანედ გავცქერი ანტილოპას, რომელიც ძველებურად დგას შერჩეულ ადგილზე!

ზვიადმა უფალი ახსენა. ჭიქა მეორედ რომ შევავსე, თვალებში შემომხედა:

*– გწყინს?*

*– ხელი მოგვეცარა, უნდა მიხაროდეს?*

*– ბიჭო, ამდენი ხანია ამ მხარეში ხარ, პირველად არ ნადირობ, ნუთუ ვერ გაიაზრე რა მოხდა? ჯოგში ჯერ სამასი სული იყო, მერე, დევნაში, ოცდაათიოდე ჩამორჩა, მერე კიდევ – ათი, მერე – ხუთი, ბოლოს, ამ დიდი რქებით დამშვენებულმა წინამძღოლმა, მარტოდ რომ დარჩა, თანამოძმენი სამშვიდობოს რომ დაიგულა, სისწრაფეს უმატა და პირში ჩალა გამოგვავლო. ყველა თანამოძმე გადაარჩინა! აბა ნახე, რა მშვენიერი, ვალმოხდილი და გამარჯვებულია! არ ვადღეგრძელოთ მისი ვაჟკაცობა?*

რა უნდა მექნა? დასტურის ნიშნად ჭიქა მივუჭახუნე...

დიახ, იყო ასეთი დღე, 1978 წლის შემოდგომაზე, როცა ზვიადმა მოძმეთა გადამრჩენი წინამძღოლი ანტილოპა დაინდო!

სამწუხაროდ, დემონურმა სამყარომ, სამშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის თავდადებული ჩვენი პრეზიდენტი სასიკვდილოდ გაიმეტა!

მინდა ზვიადთან 1991 წ. ოქტომბრის ბოლოს ზუგდიდში შემდგარი ჩვენი ბოლო გასაუბრებაც გავიხსენო:

*– ზვიად, ჯოხარს არ შეუძლია ერთი ვერტმფრენი გამოგზავნოს და გაგიყვანოს?*

*– აქ მე მარტოდ არა ვარ... ერთხელ უკვე წავედი...*

*– ქვეყნისთვის შენი სიცოცხლე აუცილებელია...*

*– შენ შეეცადე, როგორმე გადარჩე... რაც იცი დაწერე...*

*– მე ვინ ვარ... თუ რამე მოხდა, ბევრი არაფერია...*

*ღიმილით მპასუხობს:*

*– რატომ გიკვირს? ამ დედამიწაზე ღვთისშვილი გააკრეს ჯვარზე და ჩვენ რას წარმოვადგენთ მასთან შედარებით?*

*– მაშ, როგორ მოვიქცეთ?*

*– რაც წეღან გითხარი... ეცადე... თუ ყოველივე კარგად იქნება, საქართველოს ჰყავს ერთი დიდი ისტორიკოსი, რასაც დაწერ, როგორმე მას წააკითხე...*

დაბოლოს, ჩემი სიტყვა, ცნობილი პოეტის, ჩემი მეგობრის ვაჟა ხორნაულის მიერ ზვიადისადმი მიძღვნილი ლექსით მსურს დავასრულო“:

**„აქ, ჩემს საფლავთან, არა ჰქრება**
**შუქი მიხაკთა,**
**აქ ხშირად ნახავთ სევდიან ჩრდილებს,**
**სევდიან ხელებს!**
**ღმერთმა ხომ იცის საქართველო**
**როგორ მიყვარდა!**
**ღმერთმა ხომ იცის, როგორ მიყვარს**
**სიკვდილის მერეც“!**

**P.S. ვერანაირი პოლიტიკოსთა ჯგუფი, ეშმაკეული სულით აღვსილი ხროვა თუ ბანდა, ზვიად გამსახურდიას „მზის ამოსვლას“ ვერ შეაჩერებს! მისი ცხოვრება და მარტვილობაც სწორედ ამის დასტურია!**

# ვარდის სურნელით გაჟღენთილი ხმა




**როგორც მზის ამოსვლა, ისე იყო მისი ამ ქვეყანაზე მოგრძანება. ის იყო კაცი, ვინც სიმღერად იქცა, ვინც ქართული ნიჭიერება და გამორჩეული უნარ-ჩვევები საზღვრებს გარეთ გაიტანა და მსოფლიოს გააცნო, ვინც პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართული კლასიკური სიმღერის მაღალპროფესიული და აკადემიური სტილი, ვინც ცნობილ იტალიურ ბელ კანტოს ქართული ხასიათი შეურწყა, შექმნა ერთობლივი სინთეზი და ჩამოაყალიბა ეგრეთწოდებული ქართულ-იტალიური სასიმღერო მანერა. დიახ, ეს პიროვნება საქვეყნოდ აღიარებული, „საქართველოს ბულბულად“ წოდებული ვანო სარაჯიშვილი გახლდათ.**

ვანო სარაჯიშვილი იგივეა ქართველებისთვის, როგორც თევდორე შალიაპინი რუსებისთვის, ხოლო ენრიკო კარუზო იტალიელებისთვის. 2024 წელი სარაჯიშვილის წლად უნდა ჩაითვალოს, რადგან 1 მაისს მომღერალს დაბადებიდან 145 წელი შეუსრულდა, ნოემბრის თვეში კი მისი გარდაცვალებიდან 100 წელი სრულდება.

ცხოვრება ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლის სტარტი და ფინიშია. თუ ფინიშამდე ისე მიხვედი, რომ უდიდესი ქართული საქმეები აკეთე, მაშინ თამამად შეგიძლია ჩათვალო, რომ ამ ქვეყანაზე ტყუილად არ მოსულხარ. ვანო სარაჯიშვილის ელვარე ტალანტი და თვისებები ამშვენებდა ამ სულიან-ხორციანად ქართულად ნაგები კაცის პიროვნებას. რა თვალუწვდენელ სიმაღლეზე უნდა იდგეს ხელოვანი, რა დიდი სიყვარული უნდა ჰქონდეს დამსახურებული, რომ სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცეს? მისი ხანმოკლე ცხოვრება სავსეა ქვეყნის ერთგულებით, მსახურებით, ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით და მადლიერებით.

მაინც რამ განაპირობა ვანო სარაჯიშვილის განსაკუთრებული პოპულარობა? რაში გამოიხატებოდა მისი მომხიბლავი ნიჭის სიდიადე? ცნობილი მწერალი და ხელოვნებათმცოდნე ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) ასეთ რამეს ამბობს: **„ვანო სარაჯიშვილს ვარშავის საოპერო თეატრში უნდა ემღერა. ამ კონცერტს პოლონეთის მთელი მთავრობა ესწრებოდა. ვანო „როლს-როისის“ ლიმუზინით ნახევარი საათით ადრე მოიყვანა იმპრესარიომ. ცუდი ამინდი იყო, საშინლად წვიმდა. თეატრის შესასვლელთან ვანოს ასეულობით ადამიანი დახვდა, თავისი „კერპის“ გამოჩენას ელოდა. ავტომობილმა ამდენ ხალხში ვეღარ გააღწია. იმპრესარიომ წინასწარ მომზადებული ქოლგა აიღო და დიდი ბოდიშის მოხდით სარაჯიშვილს უთხრა – პან (ბატონო) სარაჯიშვილო, ამ ხალხს ვერ დავშლით და ფეხით უნდა მივიდეთ თეატრამდე!**

**– კი მაგრამ, რატომ დგანან ეს ადამიანები ამ თავსხმა წვიმაში და ადგილიდან არ იძვრიანო? – გაუკვირდა ვანოს.**

**– თქვენი თაყვანისმცემლები არიან. ბილეთები ვერ იშოვეს კონცერტზე დასასწრებად და თქვენს გამოჩენას ელოდებოდნენ, რათა თვალი შეგავლონო!**

**ვანო როგორც კი გადავიდა მანქანიდან, თაყვანისმცემელთა არმია გარს შემოეხვია და ოვაცია გაუმართა. „როლს-როისის“ სახურავზე შემდგარმა სარაჯიშვილმა, კოკისპირულ წვიმაში, უბილეთო ადამიანებს თავისი საუკეთესი რეპერტუარი უმღერა. ოპერის თეატრში შეკრებილ არისტოკრატულ-პოლიტიკურ ბომონდს კი, კარგა ხანს მოუწია ლოდინი... და მართალია დაგვიანებით, მაგრამ კონცერტი მაინც ჩატარდა“.**

ასეთი შემთხვევა მრავლად იყო.

ევროპის და რუსეთის იმპერიის საოპერო თეატრებში უდიდესი წარმატებით გამოსული სარაჯიშვილი არასოდეს თაკილობდა მთაში მეცხვარეებთან ყოფნას, ქალამნიან გლეხთან პურისჭამას, ხეზე ასვლას და იქიდან „ურმულის“ სიმღერას, ნადირობის დროს ტყეში, საოპერო სპექტაკლების ნაწყვეტების ექსპრომტად წარმოდგენას. ამიტომ იყო იგი ყველასთვის ძვირფასი და საფიცარი, რომლის ნაადრევი გარდაცვალებაც სრულიად საქართველომ გამოიგლოვა.

ძმებმა ზაქარია და ივანე ფალიაშვილებმა ვანო სარაჯიშვილს „ქართული ოპერის შექმნის ბიძგის მიმცემი, შემოქმედი და მოჭიკჭიკე მერცხალი შეარქვეს“. მისი ვოკალური სრულყოფილება დამშვენებული იყო ნატიფი მუსიკალური გემოვნებით და ფაქიზი მხატვრული ალღოთი. მის ხმაში ბუნებით ჩადებული იყო ისეთი შესაძლებლობები, რაც მას დაუვიწყარი საოპერო სახეების შექნის და მათი გარდასახვის ამოუწურავ საშუალებას აძლევდა. შედეგად მის რეპერტუარში ორმოცამდე როლი ითვლებოდა. მისი ლირიკო-დრამატული ტენორი გამოირჩეოდა ელასტიურობით, სხივოსნობით და მდიდარი ობერტონებით. შესრულება – საოპერო პარტიის რთული ადგილები, მაღალი და დაბალი რეგისტრის ნოტები ემოციურობით, გულწრფელობით, ტემპერამენტით და გასაოცარი არტისტიზმით. ამით იგი უდიდესი წარმატებით ემსახურებოდა უმაღლესი სასიმღერო ხელოვნების განვითარებას და საზოგადოებაში მის დამკვიდრებას. მომღერალი შესანიშნავი სმენით და მუსიკალური მახსოვრობითაც იყო დაჯილდოებული, სწრაფად ითვისებდა ახალი პარტიებს და არა მარტო თავისი პარტია იცოდა, არამედ მთლიანი ოპერა, რაც განაპირობებდა მის თავისუფლებას სცენაზე. მას ფართო საკონცერტო რეპერტუარი გააჩნდა. ყოველივე ამის მთავარი მასაზრდოებელი წყარო ის მრავალმხრივი ქართული ხალხური სიმღერა-საგალობლები გახლდათ, რომლის წიაღშიც იშვა, აღმოცენდა და ჩამოყალიბდა სარაჯიშვილის გასაოცარი თვითმყოფადი ტალანტი. უდაოდ, ის ქართული სიმღერის და რომანსის უბადლო ოსტატი, ინტერპრეტატორი და მისი მასაზრდოებელია. ვანოს მიერ შესრულებული მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები დასრულებულ, მხატვრულად სრულყოფილ მინიატურად გვევლინება.



**ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ვანო სარაჯიშვილის დეტალური ბიოგრაფიის აღწერა. გვინდა, რომ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ეს მართლაც გასაოცარი პიროვნება, რომელმაც ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, მთელი ეპოქა შექმნა და ქართველი კაცის გამორჩეული ნიჭიერება წარმოაჩინა.**

დაიბადა ქალაქ სიღნაღში 1879 წლის პირველ მაისს პეტრე სარაჯიშვილისა და ეფემია რუსიშვილი-ყორჩიბაშის ოჯახში. ვანო ბავშვობიდანვე ეზიარა სიმღერას. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1987 წელს ოჯახი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. იგი ერთხანს მუსიკალურ სასწავლებელში ჩელოზე დაკვრას სწავლობდა, მღეროდა სანდრო კავსაძის სიმღერის გუნდში. მისი განსაკუთრებული მონაცემები ქართველი საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა. და აი, 1903 წელს სიმღერის დაუფლება-დახვეწის მიზნით ვანო სარაჯიშვილი პეტერბურგში ჩადის და მეცადინეობას იწყებს ცნობილ პედაგოგთან პანაევა-კარცევასთან. მან სულ მოკლე ხანში მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. 1905 წელს ვანო სარაჯიშვილი იმ დროს პეტერბურგში სახელმოხვეჭილი ანტრეპრენიორის, აკაკი წერეთლის ვაჟის, ალექსის „ახალი ოპერის“ დასის შემადგენლობაშია. ამ დასში მონაწილეობდნენ მსოფლიოში აღიარებული მომღერლები: **მატია ბატისტინი, თევდორე შალიაპინი, ტიტა რუფო, ბარონატი, მაზინი, ანსელმი, ფიგნერი, სილამაზით განთქმული ლინა კავალიერი** და სხვები.

1906 წელს ვანო სარაჯიშვილი ევროპიდან თბილისში ჩამოდის და დიდი წარმატებით გამოდის საოპერო სპექტაკლებში. ამავე წლის ბოლოს იგი მილანში მიემგზავრება და მეცადინეობას იწყებს განთქმულ მაესტრო კასტელანოსთან. 1906-1908 წლებში მომღერალი გამოდიოდა როგორც იტალიის, ასევე ესპანეთის, საფრანგეთის, ბელგიის და პოლონეთის საოპერო თეატრებში.

ვანო სარაჯიშვილი ევროპიდან საქართველოში ბრუნდება და მოღვაწეობას იწყებს თბილისის საოპერო თეატრში. აქედან გადის საგასტროლოდ რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში. მონაწილეობდა მშობლიური თეატრის თითქმის ყველა რეპერტუარში და უდიდესი წვლილი შეჰქონდა მის წარმატებაში.

1923 წელს იგი ნატო ვაჩნაძესთან ერთად, რეჟისორმა ბექნაზაროვმა, ფილმ „მამის მკვლელში“ გადაიღო. „მამის მკვლელი“ ერთადერთი ფილმია, სადაც ვანო სარაჯიშვილის ცოცხალი სახეა შემონახული.

არც ერთ ქართველ მომღერალს არ რგებია ხალხის ისეთი დიდი სიყვარული და აღიარება, როგორიც ეს ვანო სარაჯიშვილს ერგო. იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო მომღერალი, ადამიანების ჭირის, ლხინის, ხასიათის, განწყობის და სურვილების გულთან მიმტანი და გამზიარებელი. მან ჩვენი მუსიკალური კულტურის აყვავებას შესწირა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, მისთვის დაიწვა და დაიფერფლა. უარყო საზღვარგარეთიდან შემოთავაზებული ჰონორარები, სიმდიდრე, ფუფუნება და ქვეყნის სამსახურში დალია სული. ამიტომაა, რომ ლეგენდად დადის მისი სახელი. ვანო სარაჯიშვილის ხსენებაზე ხალხი უსაზღვრო სიხარულს განიცდის, რომელსაც ამავე დროს გარკვეული სინანული ახლავს, მისი ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლის გამო. მას ერთ-ერთ პირველს ჰქონდა მინიჭებული **„საქართველოს სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

მომღერალი 1924 წლის 11 ნოემბერს გარდაიცვალა 45 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისის ოპერის თეატრის ბაღში. სარაჯიშვილის სახელს ატარებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა. მშობლიურ სიღნაღში აღდგენილია და ფუნქციონირებს მისი სახელობის მემორიალური მუზეუმი, მასზე გამოცემულია მონოგრაფიულია წიგნები, გადაღებულია მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი. მისი სახელის უკვდავყოფის მიზნით, მიგვაჩნია, დაწესდეს სახელმწიფო პრემია, ჩატარდეს ვოკალისტთა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსები.

„ვანო ღვთიური ცეცხლით, წარმტაცი ხმით და უბადლო მუსიკალური სმენით დაჯილდოებული მომღერალი იყო. ჯერ კიდევ იტალიაში მეცადინეობის დროს ვუწინასწარმეტყველე დიდი კარიერა და აკი, არც შევმცდარვარ,“ – **თევდორე შალიაპინი.**

„...დიდი ხელოვანი, დიდი მომღერალი და კეთილი ადამიანი, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი ბუნებრივი ნიჭით, მთელი ეპოქა შექმნა ქართული ეროვნული სიმღერის დარგში“, – **ზაქარია ფალიაშვილი.**

„...მამაჩემს, რომელსაც თავისი ცხოვრების ბოლოს, უკვე მოსმენილი ჰყავდა მსოფლიო მასშტაბის არა ერთი მომღერალი, უძნელდებოდა დაეყენებინა ვინმე სარაჯიშვილის გვერდით“, **– ცნობილი დირიჟორის მელიქ-ფაშაევის ვაჟი ალექსი მელიქ-ფაშაევი.**

„...ვანომ ეროვნული კულტურის წინაშე ბრწყინვალედ შეასრულა ორი დიდი როლი, ორი დიდი მისია: იგი იყო ქართული სამომღერლო ესთეტიკის ფუძემდებელი და ეროვნული საოპერო ხელოვნების ნოვატორი“ – **მანანა ახმეტელი,** მუსიკათმცოდნე.

„ვანო სარაჯიშვილის სიმღერა ხალასი „გულის ხმა“ იყო. იგი უშუალოდ გულის სიღრმიდან ჩქეფდა და მუდამ უტყუარი ელფერი ამოჰქონდა თან. ამიტომ ასე ნათლად მჟღავნდებოდა მის ბგერაში განსახიერებული გმირის განცდა, ვნებათაღელვა, ადამიანური ტკივილები... მის სიმღერაში მთელი მისი ადამიანური ბუნება მონაწილეობდა: თანდაყოლილი ტემპერამენტი, დამახასიათებელი ჟესტი და პლასტიურობა, სიდარბაისლე, სიფიცხე, სიამაყე და თავმოყვარეობა, ალალი და ფაქიზი სული, მთელ არსებაში ღრმად გამჯდარი ქართული ჰანგიც, ამიტომ იყო ეს სიმღერა წმინდა ეროვნული კოლორიტის მატარებელი... ვირტუოზული ტექნიკა, წარმტაცი ტემბრი, „ბელ კანტო“ და ყოველივე რაც გნებავთ, ბუნებამ მას უხვად მიანიჭა, რაც ასეა საჭირო დიდი მომღერლისა და მსახიობისათვის“ – **შალვა კაშმაძე,** მწერალი და პუბლიცისტი.

**„საქართველოს ბულბულს“ სალამი! ღმერთმანი, ძალიან კი ვისიამოვნე გუშინ თქვენი მოსმენით, რომელსაც ულამაზესი ვარდის ფურცლის სურნელი ახლდა...“,** აკაკი წერეთლის მიმართვა სარაჯიშვილს, მათი ოპერის წინ შეხვედრის დროს.

**გელა ქოქიაშვილი,**
**ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი, სიღნაღის საპატიო მოქალაქე.**





# ვანო ჩხიკვაძე

## გაუმარჯოს, გაუმარჯოს ვაჟიშვილს და ქალასაო!

გაუმარჯოს, გაუმარჯოს,
ყველაფერს და ყველასაო –
გაზაფხულის მახარობლად
მერცხლის შემოფრენასაო,
ტოტზე კვირტის,
დედის მკერდში
ჩვილის ამოფშვენასაო!

გუთნის უფალს – ლაზასაო,
სალამურს და ნაზადსაო,
ფარეხსა და ბაგასაო,
მყეფარს, ფხიზელ ნაგაზსაო!

ვაჟიშვილს და ქალასაო,
ხელსაფქვავს და ჯარასაო,
ველზე ყანის ღაღანსაო,
ვაზს – დაბლარს და მაღლარსაო –
ღვთისმშობელის წილხვედრ მიწას
ღმერთი მისცემს ძალასაო!

გაუმარჯოს, „ვინმე მესხის“
ბატის ფრთას და მელანსაო,
ოცდაცამეტ ასო-ბგერის
მშობელ დედა ენასაო!

ღვთის წყალობა ყველასაო,
შავგვრემანს და ქერასაო,
ვინც ამყვება,
ვინც შეუწყობს
ხმას ამ ჩემ სიმღერასაო.

ფუძის ანგელოზის ლოცვას,
ჩაუქრობელ კერასაო,
დედა-საქართველოს გულის
ოთხივ კუთხით ძგერასაო!

## დროა

დროა, შენც რომ იცოდე –
შობის მერე რაც ხდება,
კეთილი რომ იმარჯვებს,
ბოროტი რომ მარცხდება.

ყველა რჩეულთა შორის
როგორ შეირაცხება?
უფლის ნების გარეშე,
ცხელი თონეც ჩაცხრება –
ურწმუნოს მოზელილი
სეფისკვერი არცხვება!

## დათბა

გაზაფხულდაო, ჩიტმა მახარა -
ცალ ფეხზე ცეკვავს წერწეტა წერო,
ნაყამირალზე თავი ამოჰყო
ბალახმა, უნდა ამოიწვეროს.

შეხე, ფუტკარიც უკვე მზად არის,
შემოუფრინოს მინდვრის კიდე-განს,
ბიჭი-ჭინჭველაც რა ყოჩაღია –
ცხრა თავის ტოლა ტვირთს ეზიდება.

მზე ყინვას აღარ შეეპუება,
სხივების ოქრო იღვრება ციდან,
ცმუცნის ნამჯაში დანამცეცებულ
ნაზამთრალ მარცვალს თაგუნა, ციდა.

აგა, ადგომას ვინ დაასწრებდა,
გამოაღვიძა შინაურებიც,
ფრთხილმა კურდღელმა
დამდნარი ლოლოს
წვეთის წკარუნზე ცქვიტა ყურები.



უკვირს დათუჩას,
როდის მოასწრო
და წამოზარდა სითბომ იაო!
ჩაიბურდღუნა, თათის წოვაში,
თურმე, რამდენი მძინებიაო.

ჩვენმა კოპწია ალუბლის ხემაც,
ფიფქის კულულს რომ ქარი ვარცხნიდა,
როგორც კი იგრძნო სხივის ალერსი,
კვირტის თვალები გამოაჭყიტა.

მთის ფერდობებზეც,
თოვლის ზეწარქვეშ,
ჩამოთბობამდე განაბულები,
ენას იდგამენ, ახალშობილი,
აპრილის ჩვილი ნაკადულები.

შემოჰღუღუნეს ტაძრის მტრედებმა
ერთხმად, კრიალა და უღრუბლო ცას
და გუმბათიდან ჩამორეკილმა
ზარმა გაზაფხულს გზა დაულოცა!

## ზარმაცი სკვინჩა

როგორც ყველა ზარმაცს დილით
ადგას დიდი გასაჭირი,
წამოდგეს და ჩაიცვას თუ
ისევ გააგრძელოს ძილი.

რაშიც სკვინჩა ყოჩაღია,
ცქვიტია და მარდი არის,
ხორბალთან სხვას არ მიუშვებს,
კენკვა იცის მადიანი.

ფრთას შუბლზე რომ შემოიდებს,
ფეხს ფეხზე რომ გადაიდებს,
ჩაფიქრდება,
დღეს სკოლაში
წავიდეს თუ არ წავიდეს.

ვიდრე რამეს გადაწყვიტავს,
ირეკება სკოლის ზარიც,
დედა-სკვინჩამ იცის, შვილის
არ გაუვა უარს წყალი,
დარდობს, რადგან უცოდინარს,
დაეხშობა ყველგან კარი -
თუ არ წავა, ამის ნაცვლად,
სტვენას, აბა, ვინ ისწავლის?!
შენც გახსოვდეს:
ზარმაცების,
ცოდნის ზარი, იქ თუ ჩვენთან,
ჩიტების და ბავშვების და
ყველას გასაგონად რეკავს!

## სერიალი

ტელესერიალებმა
ვინ არ გამოაშტერა,
თინეიჯერი ყვავი
თუ ბებერი პანტერა.

ზეცაც რომ ჩამოიქცეს,
ელვა-ჭექა-ქუხილით,
მაინც ვერ მოაცილებ
ეკრანს, მიმჯდარს კრუხივით.

რვაას ათი სერიის
ჩიკორივით ბზრიალმა,
მარტოხელა გუგულისთვის
უქმად არ ჩაიარა –
ისე გამოათაყვანა,
გამო – ასე – რიალა,

რომ ვერაფრით გაიხსენა
კვერცხი, ბოლოქანქარამ,
ბოლოს ვის ბუდეში ჩადო,
ანუ ვის მიაბარა!..

ეკრანის გმირებთან ერთად,
თვითონაც რომ ბერდება,
არ ადარდებს,
მთავარია,
სერიალი გრძელდება!

## წყვილები

ბალახს როგორ მოთიბავს
ბასრი ცელი უტაროდ.
უნექტაროდ, თაფლუჭას
დაამზადებ, ფუტკარო?!

საჭიროა სიმინდის
ტარო გამოიკვანწოს,
ხრაშუნა ბატიბუტმა
ტაფაში რომ იბარტყოს.

თუ არ მიეხმარება
თავის ძმა და ქომაგი,
ხორბალს როგორ ჩამოფქვავს
მარტოხელა დოლაბი!

დედამიწა უზეცოდ,
ფეხბურთელი უბურთოდ,
ან წარმოგიდგენია
ქამა-სოკო უქუდოდ?!

რაღა სახლი იქნება
უკარფანჯრო, უჭერო,
სიყვარული იხარებს
სული რომ არ უბერო?!

დღე და ღამე გაძლებენ
მზის და მთვარის გარეშე?!
ქართლში არ მიდიოდეს
წმინდა ნინოს „გზა ესე?!“

თქვენი მადლით მოსილმა,
ქედი ვის მოვუხარო,
უფალო და სამშობლოვ,
სამშობლოვ და უფალო!

## უჩინარი

ლამპიონებს და ვარსკვლავებს
დღე სძინავთ და ღვიძავთ ღამით,
ფოთოლზე რომ აციმციმდა,
ვინ მოწყვიტა ციდან ნამი?

გეთამაშება და არ ჩანს,
მართლაც არის საოცარი,
ერთხელაც ვერ დავიჭირე
კუდით, ეს ეშმაკი ქარი,
ხედავთ? –
არც დააკაკუნა,
ისე შემოაღო კარი!

# ფარნა რაინა

## ნატვრისთვალი

### (ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი პოემიდან)



კაცმა რომ თქვას სიმართლე –
რომ არ ვიტანჯ-ვიწვალოთ
და შენც არ გემდუროდეთ
ჩვენო, ბედის ფიწალო...

სანამ გვინდა სიცოცხლე,
სანამ ვუმზერთ მზის წალოს,
ციცქნა ჭიანჭველისგან
შრომა უნდა ვისწავლოთ.

გალაღდება სინდისი,
მხრებს გაშლიან ტაძრები,
ურწმუნობის სიცივით
მაშინ აღარ დავძრებით.

როცა ვშრომობთ, ნამუსიც
არასოდეს გვიწყრება,
ყველა კარგი სახელი
მხოლოდ, შრომით იწყება.

მუდამ რწმენას გვიმტკიცებს, -
სასო არ გვაქვს მიხდილი.
შრომა სიცოცხლეა და
სიზარმაცე – სიკვდილი.

შრომა ნატვრისთვალია, –
წყარო – სულთა შენების,
ფიქრით, სწრაფვით, საქმით და
გარეგნული მშვენებით.

დოვლათით და სიმდიდრით,
სადაც ხალხი ივსება,
იქ შრომაა პირველი,
ღვთაებრივი ღირსება.

შრომა ისხამს სიკეთეს,
როგორც ყანა – თავთავებს,
ქვეყნის მხნეობისა და
ძლიერების სათავე.

სწავლაც დიდი შრომაა,
ბნელში სანთლად ელვარებს,
სწავლა – გარჯით იპყრობენ
საოცნებო მწვერვალებს.

ისიც უნდა ვიცოდეთ:
ხან, – მარწუხშიც ვვარდებით,
როდი არის სამყარო
მოფენილი ვარდებით.

თუმც, ვართ ბედის მჭედელნი,
განა – უცხო მსტოვრები?
მაგრამ ბევრჯერ, შეგხვდებათ
გამოცანაც ცხოვრების...

ვინ – ბრძენად და წმინდანად,
ვინ – სიბრიყვის სიმად გვთვლის,
წამებულიც ბევრია,
მსხვერპლი, ნიჭის, სიმართლის.

და... იცოდეთ, როდესაც
მამულის მზედ ენთებით,
ზოგჯერ სიკეთისათვის
დაუსჯიათ ღმერთებიც.

ჯვარზე ვაცვით რამდენი,
განა ერთი? ათობით...
კიაფობენ ახლა კი:
როგორც – ერის მნათობნი...

სიკეთის გზა არაა
იოლი და იაფი,
თუ ხართ, დაე, შეგეძლოთ
მნათობივით კიაფი...

## ედიშერ გვენეტაძე:
# მორჩილი ყურშა-ფინიები...

„**რატომ** იხევიან წელზე ხაზარაძე, ჯაფარიძე... და სხვა კომპრადორული, კოლაბორაციონისტი ბურჟუაზიის წარმომადგენლები? მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში



უახლოეს ხანებში დიდი ალბათობით შემოვა ჩინური ბანკები 2%-3%-4%-იანი განაკვეთით! ეს კი ნიშნავს საქართველოს მოსახლეობის ამ ყაჩაღ-მევახშეებისაგან გათავისუფლებას! ხომ ნახეთ, როგორ იჭიმებოდა ღომში ჩართული სულგუნივით მე უნდა ავაშენო ანაკლიის პორტიო! გამოჩნდა (თუმცა ადრეც ვამბობდი), რომ ამ მევახშე-კომკავშირელს და მისთანებს არავინ არ ეკითხებოდა, ანაკლია აშენდებოდა თუ ოფშკვითი! ესენი იყვნენ და არიან გარედან დამკვეთი „გლობალური ომის პარტიის" მორჩილი ყურშა-ფინიები! რომლებიც გარედან ერთი თითის დატკაცუნებაზე ყიდიან მთლიან საქართველოს მისი მოსახლეობით და წირავენ უკრაინიზაციისთვის! გახსოვთ ალბათ მათი სირბილი უკრაინაში ომის პირველ ხანებში „მემარცხენე" გეგელია, ხატიასთან ერთად!ისეთივენი, როგორებიც იყვნენ სსრკ დროს! აწევენ ფარდას,ააყეფებენ. დაუწევენ, გააჩუმებენ!.."

# მართლაცდა, საიდან სადაო!..

**ეკა სეფაშვილი: მსოფლიო კონფლიქტების ფონზე უცებ წამყვანმა სახელმწიფოებმა მოიცალეს - დღე და ღამე ჯავრობენ, რა კანონს მიიღებს საქართველო და გიგაურის და ლომჯარიას დეკლარაციები შევსებული იქნება თუ არა!..**



**პარტია „ხალხის ძალის" საერთაშორისო ურთიერთობების მდივანი ეკა სეფაშვილი ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით გაჟღერებულ შეფასებებს პასუხობს. ეკა სეფაშვილის თქმით, მსოფლიოს ეკონომიკური გიგანტი – ჩინეთი საქართველოს სახელმწიფოს ნდობას უცხადებს და ამით ამბობს, რომ ის არის დაინტერესებული, ქვეყანაში იყოს მშვიდობა. დეპუტატი საერთაშორისო გამოხმაურებებსაც პასუხობს და განმარტავს, ვის რა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები აქვს საქართველოში და რისთვის არის საჭირო შანტაჟი. ეკა სეფაშვილის თქმით, ანაკლიის პორტი, როგორც ეკონომიკური პროექტი, არის განაცხადი იმის, რომ საქართველო ყოველთვის დაიცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესს.**

– ეს არის პირდაპირ იმის განცხადება, რომ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მოთამაშე, თან პოტენციურად მზარდი – ანუ ჩინეთი, რომლის ეკონომიკის პოტენციალი იმდენად დიდია, რომ პლანეტის ყველაზე დიდ ეკონომიკას – ამერიკასაც კი უჩნდება შიშები მასთან დაკავშირებით, ეს ეკონომიკური გიგანტი ამბობს, რომ მე ვარ დაინტერესებული, ჩემმა ტვირთებმა საქართველოს გავლით იაროს და ისე შევიდეს ევროპაში. წარმოიდგინეთ, რა დატვირთვა ენიჭება საქართველოს. ეს, ის კი არ არის, რომ გეოგრაფიულად აქ ტრაილერი შემოვა და გავა, არა, ეს ნიშნავს, რომ ჩინეთი ამბობს: მე ვენდობი საქართველოს სახელმწიფოს, რომ ეს ყველაფერი იქნება დაცულად, სტაბილურად, უსაფრთხოდ და მე ვარ დაინტერესებული, რომ საქართველოში, რეგიონში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა.ეს მშვიდობა და სტაბილურობა, ნებისმიერ შემთხვევაში, არის ყველა ეკონომიკური პრობლემების წარმატების საწინდარი. ეკონომიკა და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებული, გადაჯაჭვული ცნებებია. გაუგებარია, ეკონომიკური ინტერესები იწვევს პოლიტიკურ ინტერესებს თუ პირიქით.

შემდგომში, ამ ეკონომიკურ ინტერესს მოაქვს მშვიდობა და სტაბილურობა. თავის მხრივ, ეკონომიკის, სტაბილურობის თვალსაზრისით, ევროკავშირიც პრაგმატულად არის დაინტერესებული ამ გზით.ჩვენ ვიხილეთ პოლიტიკოსების სხვადასხვა გამოსვლები, მაგრამ ევროკავშირი რისთვის შეიქმნა?

ევროკავშირი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც მომართული იყო, რომ ეკონომიკურ ინტერესებს არ გამოეწვია კონტინენტზე ომი. სწორედ ამიტომ გაფორმდა 6 თავდაპირველ სახელმწიფოს შორის ეს პოლიტიკური შეთანხმება.

წარმოიდგინეთ, პოლიტიკოსები ბორელი, ფონ დერ ლაიენი და ა.შ. რაღაცებს აცხადებენ, მაგრამ მათი ინტერესების საფუძველი არის ეკონომიკა. სწორედ ამ ეკონომიკურ ინტერესში, საქართველოს ცენტრალური როლი აქვს და თან ამ წლების განმავლობაში დაამტკიცა, რომ არის საიმედო. რა თქმა უნდა, ისინი ყოველმხრივ შეეცადნენ, დაეშანტაჟებინათ საქართველო, ეხილათ დაჩოქებული, მათი ღირებულებების მიმდევარი (ლგბტ პროპაგანდა), იმ დავალებების უსიტყვო შემსრულებელი, როგორიც არის მაგალითად ვეტინგის სისტემის დანერგვა და ა.შ.

რატომ ურჩევნიათ ასე? რა თქმა უნდა, დაშანტაჟებული თუ იქნები, უფრო ადვილი ხარ სამართავად და უფრო მეტს მოგთხოვენ, შენი ქვეყნისათვის წამგებიან ეკონომიკურ პირობებზე დაგითანხმებენ. ეს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ეკონომიკის და ბიზნესის წესია.საქართველომ ამ ყველაფერს გაუძლო, მარტო გამჭვირვალობის კანონზე კი არ თქვა დიახ, არამედ იმაზეც, რომ ყოველთვის დაიცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესს და ამ ეროვნული ინტერესის ერთ-ერთი გამოხატულება არის სწორედ ეკონომიკური პროექტი. ეს ეკონომიკური პროექტი მარტო თავისთავად ეკონომიკური პროექტი არ არის.

არ დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო დღეს არის ფაქტობრივად მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე, ორი უზარმაზარი კონფლიქტი მიმდინარეობს უკრაინასა და რუსეთს შორის, ისრაელსა და ჰამასს შორის. წარმოიდგინეთ, უზარმაზარი კონფლიქტები მიდის მსოფლიოში და უცებ წამყვანმა სახელმწიფოებმა (აშშ, საფრანგეთი, ევროკავშირი) მოიცალეს – დღე და ღამე ჯავრობენ, რა კანონს მიიღებს საქართველო და გიგაურის და ლომჯარიას დეკლარაციები შევსებული იქნება თუ შეუვსებელი!..

განსაჯოს თვითონ მკითხველმა, კომენტარი თქვენთვის მომინდვია...

## განცხადება
### საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა **ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 4 ივლისი, 12:00 საათი, ხობის მუნიციპალიტეტი, ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის კულტურის სახლის შენობა (მის.: ყულევი, იმედის ქუჩა N180)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **23 ივლისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32ა).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 16 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

---

## განცხადება
### საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა **ქ. თბილისში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას" 3320 მ3 ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 9 ივლისი, 12:00 საათი, გლდანის რაიონის გამგეობის შენობა (მის.: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის N1გ)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **24 ივლისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32ა).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 23 მაისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

**გარემოს ეროვნული სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს**

# აღმოსავლეთ საქართველოში ამინდი გაუარესდება!..

**აღმოსავლეთ საქართველოში: თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთის ცალკეულ რაიონებში მოსალოდნელია ძლიერი ნალექი, ელჭექი, სეტყვა და ქარის გაძლიერება.**



მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექმა შესაძლებელია მდინარეებზე – წყლის დონის მატება, პატარა მდინარეებზე – წყალმოვარდნები, ხოლო გორაკ-ბორცვიან და მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

◎ მოვლენის წინ

# გენერალური რეპეტიცია



**საქართველოს ნაკრები ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ჭვაროსანთა ნაწილი გუშინ თბილისიდან გაემგზავრა. ალპებში გაფრენამდე ბიჭებმა კომენტარებიც გააკეთეს.**

**გუდუ ზივზივაძე:** „პლეი-ოფების შემდეგ ყველა ფეხბურთელი თავის კლუბებში თამაშობდა და თვითდაჯერებული იყო, რაც მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდისთვის. გუნდში ძალიან ამაღლებული განწყობაა, როგორც ყოველთვის ერთმანეთის ნახვა გვიხარია, ბედნიერი ვართ და ამ ისტორიული ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ვიწყებთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გერმანია თავაწეულებმა დავტოვოთ. არა მარტო მე ვარ ოპტიმალურ კონდიციებში, რაც გუნდისთვის კარგია, რადგან ატმოსფერო კიდევ უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე აქამდე იყო“.

**ოთარ კიტეიშვილი:** „რა თქმა უნდა, განწყობა კარგია. პირველად ვთამაშობთ ევროპის ჩემპიონატზე, ყველას გვიხარია ერთმანეთის ნახვა და ის სიხარული, რაც 26 მარტს გვქონდა, განახლდა. თუმცა, აუცილებელია ამ მატჩებისთვის კარგად მომზადება და მაქსიმალურად გამოვიყენებთ ამ პერიოდს. რა თქმა უნდა, ამხანაგური შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია დიდი ტურნირის წინ და გამოვიყენებთ“.

**ზურიკო დავითაშვილი:** „სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე მივდივართ და საოცარი ემოციებია. ასეთი განწყობით არასდროს შევკრებილვართ. პირველ რიგში, შედეგის მისაღწევად მივდივართ. რთულ ჯგუფში ვართ, მაგრამ, ჩემი აზრით ყველაფერი გამოგვივა. ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემდეგ კონდიციებში შევედი და მიხარია. იმედია, ასე გავაგრძელებ და ჩემს ქვეყანას დავეხმარები ჩემი თამაშით. ამხანაგური თამაში ასეთ დროს მნიშვნელოვანია და წაგვადგება“.

**გაბრიელ სიგუა:** „რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო ჩემთვის ნაკრებში გამოძახება, მაგრამ ამავდროულად წარმოუდგენლად გასახარი ამბავია, როცა გეძლევა შანსი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშო და შესაძლებლობები წარმოაჩინო. მე მაქსიმალურად მოვემზადე ფიზიკურად და მენტალურად, ვფიქრობ, რომ ჩემს მაქსიმუმს გავაკეთებ. „ბაზელში“ უფრო უკეთესი სიტუაცია იყო, გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობდა, მაგრამ ალბათ, მომდევნო სეზონში უკეთ ვითამაშებთ. ტრავმები მაწუხებდა, მაგრამ ბოლო დროს კარგად ვიყავი და ვფიქრობ, კონდიციებში შევდივარ“.

საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით 2 ივნისის შემდეგ შეიკრიბება, ხოლო ევრო 2024-მდე 9 ივნისს, პოდგორიცაში, მონტენეგროს ნაკრებს შეხვდება.

ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრები 18 ივნისს დორტმუნდში, თურქეთს, 22 ივნისს, ჰამბურგში, ჩეხეთს, ხოლო 26 ივნისს გელზენკირხენში, პორტუგალიას დაუპირისპირდება.

◎ სეზონის ფინიშზე

# წიწილებს გაზაფხულზეც ითვლიან

**ევროპის ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე საფეხბურთო სამყარო საკლუბო სეზონის ლაურეატთა გამოსავლენად ნაირ-ნაირ გამოკითხვებს ატარებს, ნომინაციებში გამარჯვებულთა სიჭრელე კი იკიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გემოვნებაზე არ დავობენ და ნელ-ნელა უნდა შევეგუოთ ფაქტს, რომ 21- საუკუნის განვლილი პერიოდისგან განსხვავებით, როცა ჰეგემონია მესი – რონალდოს დუეტს ეპყრა, აწი ტახტზე სხვადასხვა გვირგვინოსანი ავა.**

საილუსტრაციოდ გლობ სოკერ ევორდის ვერსიით დასახელებულ რჩეულთა სიას გაგაცნობთ, დასკვნები კი თავად გამოიტანეთ.

**საუკეთესო ფეხბურთელი** – კილიან მბაპე.

**საუკეთესო მწვრთნელი** – ხაბი ალონსო.

**საუკეთესო ბომბარდირი** – ჰარი კეინი.

**საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი** – ლამინ იამალი.

**კაცთა საუკეთესო კლუბი** – მანჩესტერ სიტი.

**ქალთა საუკეთესო კლუბი** – ბარსელონა.

**წლის აღმოჩენა კლუბი** – ატალანტა.

**პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელი** – მიკელ არტეტა.

**ლა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჯუდ ბელინგემი.

**ლა ლიგის საუკეთესო მწვრთნელი** – მიჩელი.

**ფეხბურთელის კარიერა** – ჯანლუიჯი ბუფონი.

**მწვრთნელის კარიერა** – ლუჩანო სპალეტი.

**სეზონის დაბრუნება** – კომო, რომელიც სერია – ა-ში პარმასთან ერთად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ითამაშებს.

**ათენი. კონფერენს ლიგა. ფინალი.** ოლიმპიაკოსი – ფიორენტინა 1:0 (დამატებით დროში). ეს ბერძნული კლუბის პირველი ევროტრიუმფია (მანამდე 1971 წელს პანათინაიკოსი ჩემპიონთა თასის ფინალში აიაქსთან დამარცხდა 0:2), ტოსკანელებმა კი ისტორიაში 6-დან მე-5 სატიტულო ბრძოლა წააგეს, მათ შორის შარშან ვესტ ჰემთან – 1:2.

**წერილი** დამდეგი გერმანული ფორუმით დავიწყეთ და ჩაროზად ქართველ ქომაგთათვის გადადგმულ მორიგ სასიკეთო ნაბიჯსაც გაგაცნობთ.

როგორც **კახი კალაძემ** განაცხადა, მათთვის, ვინც ვერ ახერხებს ზეიმზე გამგზავრებას, დედაქალაქის მერია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და კერძო სექტორი ევრო– 2024-ის დღეებში გულშემატკივართა 15-ათასიანი არმიისთვის მიხეილ მესხის სტადიონზე დიდ ეკრანს დაამონტაჟებს, სადაც კვების ბლოკი და სხვადასხვა აქტივობებიც მოეწყობა.



◎ პირველად!



# პარიზში – გუნდითაც...

**ტატამის ქართველ ოსტატთა აქილევსის ქუსლი – ქალთა ძიუდო წარსულს ჩაბარდა, რაც უკვე შედეგებზეც აისახება.**

კერძოდ, საქართველოს შერეული ნაკრები ამას წინათ ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და დამსახურებულად მოიპოვა პარიზის ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ერაში გუნდური სახეობის ლიცენზიის დაუფლების I შემთხვევაა!

მეტი სიცხადისთვის შეგახსენებთ, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ დაბიში გამართულ ცოტახნისწინანდელ ფორუმზე ჯერ უნგრეთი დავამარცხეთ – 4:1, შემდეგ ნახევარფინალი ფრანგებთან დავთმეთ – 2:4, რეპეშაჟის ფინალში კი გერმანია დავჯაბნეთ – 4:1.

◎ ბატუტზე ხტომა

# დიდი სტიმული

**2024 წლის ზაფხულში საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ფორუმში მეოთხედ იასპარეზებს თბილისელი ლუბა გოლოვინა, რომელმაც ლიცენზია მსოფლიოს უძლიერეს ბატუტზე მხტომელებთან პაექრობაში მოიპოვა.**

ეს წარმატება დიდი სტიმულია ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენებისთვის, რომლებმაც გასულ კვირას თბილისის ღია პირველობაზე მოსინჯეს ძალები. 21-წლამდელთა ტურნირზე საპრიზო ადგილებისთვის დედაქალაქის, რუსთავის, გორისა და ბათუმის 97 წარმომადგენელი იბრძოდა. დაძაბული პაექრობების შემდეგ ჯილდოები ასე განაწილდა:

**სპორტის ოსტატობის პროგრამით**

**გოგონები.** 1. მაია ბოჭორიძე (50.800), 2. ანა ლაპიაშვილი (ორივე – თბილისი, 48.810), 3. დიანა ფოთელიძე (ბათუმი, 45.020); **ვაჟები.** 1. ლუკა ლომთათიძე (47.170), 2. ცოტნე ჩხაიძე (45.780), 3. ვიტალი კირთაძე (სამივე – თბილისი, 38.400).



**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით**

**გოგონები.** 1. მარიამ გაბრიაძე (91.090), 2. ნინო ქორიძე (90.090), 3. ელენე კირთაძე (84.950); **ვაჟები.** 1. გიორგი დელიბაშვილი (82.620), 2. მოსე კოხია (79.700), 3. დავით გაფრინდაშვილი (ყველა – თბილისი, 55.360).

**I თანრიგი**

**გოგონები.** 1. ქრისტინე პლეხანოვა (84.790), 2. მარიამ ქარსაულიძე (80.490), 3. ნინო მარკოზაშვილი (სამივე – თბილისი, 43.580).

**სინქრონული ხტომები**

**გოგონები.** 1. მაია ბოჭორიძე და ანა ლაპიაშვილი (64.860), 2. ელენე კირთაძე და ქრისტინე პლეხანოვა (56.700), 3. ნინო ქორიძე (ყველა – თბილისი) და დიანა ფოთელიძე (ბათუმი, 22.800); **ვაჟები.** 1. მოსე კოხია და დავით გაფრინდაშვილი (14.200), 2. ცოტნე ჩხაიძე და ლუკა ლომთათიძე (13.850), 3. გიორგი დელიბაშვილი და ვიტალი კირთაძე (ყველა – თბილისი, 10.470).

**გუნდური**

**გოგონები.** 1. თბილისი (252.300), 2.გორი (238.300), 3. ბათუმი (235.340); **ვაჟები.** 1. თბილისი (220.100), 2. გორი (207.950), 3. რუსთავი (175.010)

**მარიამ ებაძე,**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი**

◎ ოვალური ბურთი

# მოტივაციას გაგვიზრდის

**საქართველოს 7-კაცამ ბენიდორმის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირზე ექვსიდან ექვსი თამაში მოიგო და შინ ჩემპიონის თასით ხელდამშვენებული ბრუნდება.**

მოსამზადებელი ტურნირის პირველ სათამაშო დღეს ჯგუფური ეტაპის შეხვედრები გაიმართა და საქართველომ სამივე თამაში დიდი სხვაობით, ისე მოიგო, რომ თავად ლელოც არ გაუშვია: ჩილესთან 40:0, „ბელგიელ ბარბაროსებთან“ 45:0 და „ვიატორ ბარბაროსებთან“ (ესპანეთი) 36:0.

თასის მეოთხედფინალში **ბესიკ ხამაშურიძისა** და **გია ლაზაძის** შეგირდებმა სამხრეთ აფრიკულ „ოლ სთარს“ 17:12 სძლიეს და ნახევარფინალში ლიეტუვას ნაკრებს შეხვდნენ, პირველ ტაიმში ორი გარდასახული ლელო გაუტანეს და საბოლოოდ 14:5 დაამარცხეს.

ფინალში საქართველოს მეტოქეები კვლავ „ვიატორ ბარბაროსები“ იყვნენ. ამჯერად მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს და ორი ლელო გაიტანეს, თუმცა ქართველებმა სამი მიითვალეს და 15:12 მოგებით ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.

**„ვულოცავ ჩვენს ბიჭებს და მთელს საქართველოს ბენიდორმის ტურნირის მოგებას. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს ჩვენი 7-კაცა განვითარების გზაზეა და სულ უფრო ხშირად აღწევს წარმატებებს სხვადასხვა ტურნირებში, რაც კიდევ უფრო დიდი მიღწევების საწინდარია. რაგბი ევროპის ჩემპიონატის წინ ამ ტურნირის მოგება გაზრდის მოტივაციას და ხელს შეუწყობს 7-კაცა რაგბის პოპულარიზაციას. დარწმუნებული ვარ ჩვენი 7-კაცა რაგბი ევროპის ჩემპიონატშიც წარმატებით იასპარეზებს და ისევ მოიპოვებს მსოფლიო რაგბის ჩელენჯერის სერიის საგზურს“** – აღნიშნა რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **თორნიკე გოგეგაშვილმა**.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე საქართველო ხორვატეთის ქალაქ მაკარსკაში, 7-9 ივნისს ა ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები გერმანია, ხორვატეთი და ირლანდია იქნებიან. ბ ჯგუფში პორტუგალია, იტალია, უკრაინა და საფრანგეთი, ხოლო გ ჯგუფში დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ლიეტუვა და ესპანეთი მოხვდნენ.

მეორე ეტაპი 28-30 ივნისს გერმანულ ჰამბურგში გაიმართება

## საქართველოს 7-კაცა:

**სერგი ჩხაიძე, რომან მახათაძე, ალექსანდრე ტატიშვილი, საბა არჩვაძე, გიორგი ჭუაძე, ირაკლი სიმსივე, გიორგი ნავროზაშვილი, გიორგი ჯოგავა, ლუკა ალიბეგაშვილი, დავით იმნაძე, ლევან ნარიმანიძე, იოსებ გუშარაშვილი.**

# ქარიშხალი ჭიქაში ონელი ბავშვების თანხლებით!



**ონის მერია: ფონდმა „ფეა თრიიზი“ გამოგონილი საბაბით უარი თქვა ერთადერთი ვალდებულების შესრულებაზე!**

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ფონდი „ფეა თრიიზის“ განცხადებას, ონში ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის გახსნის პროექტის შეჩერების შესახებ.

გარდა იმისა, რომ განცხადება აბსოლუტურად სპეკულაციურია, არასწორ ინფორმაციას შეიცავს.

კერძოდ, ფონდის იდეა მოიცავდა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2-დან 18 წლამდე ბავშვებისა და მოზარდებისთვის მხოლოდ და მხოლოდ სტომატოლოგიური მომსახურების გაწევას, რისთვის საჭირო სივრცის კეთილმოწყობა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა ონის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო. შესაბამისად, კლინიკის გახსნის პროექტის შეჩერებაზე ფონდის მხრიდან საუბარი ტყუილი და იაფფასიანი სპეკულაციაა.

ის ფაქტი კი, რომ ფონდმა გამოგონილი საბაბით უარი თქვა ერთადერთი ვალდებულების შესრულებაზე, რომლის ინიციატორიც თავად იყო და რომელიც მხოლოდ პროფესიული მომსახურების გაწევას გულისხმობდა, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება. სამწუხაროა, როდესაც ცალკეული სუბიექტები, პოლიტიკური ამბიციების გამო, საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტების მიზანმიმართული ხელშეშლითა და საბოტაჟით ცდილობენ, ხელოვნურად გამოიწვიონ მოქალაქეების უკმაყოფილება და პოლიტიკური ქულები დაიწერონ. გადაწყვეტილება დაუკავშირონ პარლამენტის მიერ კანონის მიღებას უკიდურესად სპეკულაციურია, რადგან მსგავსი პროგრამების დაფინანსება და მათი გასაჯაროვება მხოლოდ წაახალისებს საზოგადოების საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს.

სახელმწიფო ყოველთვის ორიენტირებულია მოქალაქეების საჭიროებებზე. შესაბამისად, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ აღნიშნული პროექტის შეფერხების საფრთხე არ არსებობს და ის სრულად ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდება“, – აღნიშნულია ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



**საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1 ივნისს ნინოობას დღესასწაულობს.**

## დღესასწაული

# „მოდიოდა ნინო მთებით, მოდიოდა...“

...კაბადოკიელი პატარა ნინო ხშირად ისმენდა ამბებს ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის შესახებ, მის სამოსზე, კვართზე, რომელიც მცხეთიდან მოსულ ურიებს ერგოთ წილად. მაშინ ჩაესხა მას გულში სურვილი, ეპოვა უფლის კვართი და თაყვანი ეცა მისთვის, რასაც დაუღალავად შესთხოვდა ღვთისმშობელს ლოცვისას.

ღვთისმშობელმა შეისმინა თავისი მხევლის ლოცვა, სიზმრად ეჩვენა მას და უთხრა: **„წადი ჩემს წილხვედრ ქვეყანაში (ივერიაში) და იქადაგე იქ სახარება ძისა ჩემისა იესო ქრისტესი და ვიქნები შენი მფარველი და შემწე“.**

...აი, ჯვრით ხელში მოადგა ნეტარი ქალწული ჯავახეთის მთებს. იდგა ადრეული ზაფხული... მაგრამ მთები დათოვლილი იყო. ნინომ ლოცვა აღავლინა, ფარავნის ტბასთან ორი დღე დაჰყო, საზრდო მეთევზეთაგან მიიღო, ძალა მიეცა და მენახირეებს სადაურობა ჰკითხა. მათ უპასუხეს, დიდი ქალაქის მცხეთის მკვიდრნი ვართო.

მეჯოგეებმა მოციქულთა სწორს მცხეთის გზა მიასწავლეს და ისიც გაემართა დასავლეთისაკენ... მძიმე გზებით იარა ნეტარმა, მხეცებს ძლივს გადაურჩა, ის მხოლოდ ლოცვაში პოვებდა შვებას... ასე ჩავიდა ნინო მცხეთაში, სადაც ღვთისმშობლის სახელით იქადაგა და ხალხი ქრისტეს სჯულზე მოაქცია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს, რომ წმინდა ნინო არის საქართველოს მფარველი, ჩვენი ერის განმანათლებელი.

**გიული ლიპარტია**

## მოზაიკა

# ამერიკელი მილიარდერი „ტიტანიკის“ ნანგრევებთან დაშვებას გეგმავს



**ამერიკელი მილიარდერი ლარი კონორი ღრმაწყლოვანი ხომალდის აწყობას და ტიტანიკის ჩაძირვის ადგილისკენ დაშვებას გეგმავს – ამგვარად მას სურს დაამტკიცოს, რომ ბატისკაფ „ტიტანის“ შარშანდელი ტრაგედია ცალკეული შემთხვევაა და ასეთი მოგზაურობის უსაფრთხოდ განხორციელებაც შეიძლება. ამის შესახებ The Wall Street Journal-ი წერს.**

ბიზნესმენმა, რომელიც უძრავ ქონებაში ინვესტიციებით არის დაკავებული, განმარტავს, რომ ის და Triton Submarines-ის დამფუძნებელი პატრიკ ლეხი 3 ათასი მეტრის სიღრმეზე, „ტიტანიკის“ ჩაძირვის ადგილისკენ ორადგილიანი წყალქვეშა ნავით დაეშვებიან.

„მინდა ადამიანებს დავუმტკიცო, რომ იმის მიუხედავად, რომ ოკეანე ძალიან ძლიერია, ის შეიძლება სასიამოვნოც იყოს და თქვენი ცხოვრება შეცვალოს თუ სწორად იმოქმედებთ“, – მიიჩნევს კონორი.

„ტიტანი“ ჩაძირულ „ტიტანიკთან“ ექსპედიციაში 2023 წლის 18 ივნისს წავიდა. ბატისკაფთან კავშირი 2 საათში გაწყდა. რამდენიმე დღის შემდეგ სპეციალისტებმა „ტიტანის“ პირველი ნამტვრევები და გარდაცვლილთა ცხედრების ნაწილები იპოვეს.

„ტიტანის“ ბორტზე იმყოფებოდნენ: კომპანია OceanGate-ის დირექტორი სტოკტონ რაში, წყალქვეშა აპარატის პილოტი პოლ-ანრი ნარჟეოლე, ბრიტანელი მილიარდერი ჰემიშ ჰარდინგი, ბიზნესმენი შაჰზად დავუდი და მისი 19 წლის ვაჟი სულეიმანი.




# თურქეთში ავარიას ახალგაზრდა ქართველი ქალი ემსხვერპლა

**მსხვერპლი მოჰყვა თურქეთში ავტოსაგზაო შემთხვევას, აქედან ერთი ახალგაზრდა ქალი ბათუმიდანაა. იგი წლები ზუგდიდში ცხოვრობდა და ქალაქის ცენტრში მცირე ბიზნესი – ტანსაცმლის მაღაზია ჰქონდა.**

არსებული ინფორმაციით, თურქეთში გაზიანთეპიდან ადანაში მიმავალ მსუბუქ ავტომობილს ტრაილერი დაეჯახა. ადგილზე გარდაიცვალა ახალგაზრდა ქალი და მისი დედამთილ-მამამთილი. ისინი გუშინ დაკრძალეს თურქეთში. რაც შეეხება სამი წლის გოგონას და მის მამას, მათი მდგომარეობა სტაბილურია. ისინი კლინიკაში რჩებიან და მათ გადარჩენას ექიმები ცდილობენ.

40 წლამდე ქალის ცხედარს ხვალ ბათუმში ჩამოასვენებენ. მთელი ოჯახი კი ზუგდიდში ცხოვრობდა.

# მებაჟეებმა არადეკლარირებული თანხის შემოტანის ფაქტები აღკვეთეს

**ბოლო ერთი თვის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ყაზბეგი“, „სარფი“, „თბილისის აეროპორტი“ და „სადახლო-საავტომობილო“, მებაჟე ოფიცრებმა, დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხის მალულად შემოტანის 4 ფაქტი აღკვეთეს. ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.**

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილების დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა ჯამში – 100 500 აშშ დოლარი, 12 670 000 რუსული რუბლი, 598 800 თურქული ლირა და 700 000 სომხური დრამი გამოავლინეს.

არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით 706 616,89 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი მოქალაქეები, სანქციის სახით, ჯამში – 70 661,932 ლარით (თანხის 10%- ის ოდენობა) დაჯარიმდნენ“.

# ავსტრიელმა საკუთარ მარანში მამონტის ძვლები აღმოაჩინა

**კაცმა ავსტრიაში, საკუთარ მარანში, ყურადღება მიაპყრო გაურკვეველ ნივთს... მან მამონტის ძვლები აღმოაჩინა და ის დაახლოებით 40 000 წლის წინანდელია. აღმოჩენა არქეოლოგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

აღმოჩენა ავსტრიელმა კაცმა ანდრეას პერნერსტორფერმა გააკეთა. ის ღვინის მარნის განახლებით იყო დაკავებული. ანდრეასმა თავიდან ნაშთებს დიდი ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, რომ ადრე ამ ადგილას ბაბუამისმა კბილებიც აღმოაჩინა. კაცს ეჭვი გაუჩნდა, რომ აღმოჩენა შეიძლება პრეისტორიული ყოფილიყო.

მან ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის (ÖAW) მკვლევრებს მიმართა. მკვლევრებმა ნაშთები კომპლექსურად შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ მარანში მინიმუმ 3 მამონტის ძვლებია.

„მამონტების ასეთი მკვრივი ძვლის ფენა იშვიათია. მსგავსი ნიმუში ავსტრიაში პირველად აღმოვაჩინეთ“, — თქვა გათხრების ხელმძღვანელმა ჰანა პაროუ-სუშონმა.

მართლაც, სულ მცირე 100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ავსტრიაში ან მის მეზობელ ქვეყნებში, ამის მსგავსი აღმოჩენაც კი არ გაუკეთებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ მამონტები დიდი ხანია რაც გადაშენდნენ, ისინი ჩვენში ინტერესს ახლაც იწვევენ. კვლევების მიხედვით, ჩვენი წინაპრები ამ გიგანტურ არსებებზე ნადირობდნენ და მათ ხორცს ჭამდნენ.



ცნობისთვის, მეცნიერები მამონტების დაბრუნებაზე ფიქრობენ. Colossal Biosc-ს გადაშენებული მამონტების „გაცოცხლება“ სურს. კომპანიის მიზნების მიხედვით, 2028 წელს ტეხასში ცოცხალი მამონტი იარსებებს.

# ამსტერდამში თვითმფრინავის ძრავამ ადამიანი ჩაითრია და მოკლა!

**ამსტერდამის შიფჰოლის აეროპორტში სამგზავრო თვითმფრინავის რეაქტიულმა ძრავამ ადამიანი ჩაითრია და მოკლა. KLM Cityhopper-ის თვითმფრინავი ამსტერდამიდან დანიის ქალაქ ბილუნდში გასაფრენად ემზადებოდა. ამის შესახებ ინფორმაციას guardian-ი ავრცელებს.**




ნიდერლანდების ყველაზე დიდი აეროპორტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სასაზღვრო პოლიციის თქმით, გამოძიება დაწყებულია. ჯერჯერობით ცნობილი არაა მომხდარი უბედური შემთხვევაა თუ თვითმკვლელობა. დაღუპულის ვინაობა იდენტიფიცირებული არ არის.

სხვადასხვა ადგილობრივი მედიასაშუალება ვარაუდობს, რომ დაღუპული შეიძლება ყოფილიყო აეროპორტის თანამშრომელი, რომელიც თვითმფრინავს აფრენამდე უკან დახევაში ეხმარებოდა...

# თბილისი წიგნის საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს



**30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია თბილისის წიგნის 26-ე საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ფესტივალი ტრადიციული მასშტაბითა და ფორმატით, „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონებში ჩატარდება.

მე-11 პავილიონში წარმოდგენილი იქნება ქართველი გამომცემლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მთავარი სტენდები, ხოლო მე-6 და მე-5 პავილიონებში თავმოყრილი იქნება საბავშვო წიგნები და მათთან დაკავშირებული საბავშვო აქსესუარები.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა როგორც მთავარი სცენა ლიტერატურული ღონისძიებებისთვის, ასევე საბავშვო შემეცნებით-გასართობი კუთხე ფესტივალის პატარა დამთვალიერებლებისთვის.

ფესტივალი კვლავაც უმასპინძლებს პროექტს – „მსახიობები ლიტერატურისთვის", რომლის ფარგლებში ქართველი მსახიობები წარადგენენ მათ მიერ შერჩეულ წიგნებს.

ფესტივალის ვიზიტორებს წელს ამერიკული განათლების კუთხე უმასპინძლებს, სადაც განათლების ცენტრის LEAF წარმომადგენლები აბიტურიენტებს უფასო კონსულტაციებსა და სემინარებს ჩაუტარებენ.

წელს პირველად ფესტივალის გარე სივრცეში, მე-4 და მე-5 პავილიონების წინ გაიმართება ფლიმარკეტი. ადგილობრივი მეწარმეები მკითხველსა და დამთვალიერებელს სხვადასხვა აქსესუარსა და ქართულ ნაწარმს შესთავაზებენ.




# ანიმაციური ფილმების ჩვენება ეროვნული არქივის კინოთეატრში

**1 და 2 ივნისს, 13:00, 15:00 და 17:00 საათზე ეროვნული არქივის კინოთეატრში ნაჩვენები იქნება მულტიპლიკაციური ფილმები: „სამი მეზობელი“ (რეჟისორი ვახტანგ ბახტაძე, 1966), „ტყის კვარტეტი“ (რეჟისორი მერაბ სარალიძე, 1984), „ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ“ (რეჟისორი ვახტანგ ბახტაძე, 1977), „ნამდვილი მეგობრები“ (რეჟისორი ნელი ოქროპირიძე, 1976) და „საფრთხობელები“ (რეჟისორი მერაბ სარალიძე, 1992). სეანსის ხანგრძლივობაა 50 წუთი.**

ეროვნული არქივის ინფორმაციით, ჩვენება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართება და პროგრამაში წარმოდგენილი ანიმაციური ფილმები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. მათი ციფრული რესტავრაცია ბოლო წლებში განხორციელდა.

# „თბილისური“

## თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა



**1-დან 4 ივნისის ჩათვლით, შალვა ძნელაძის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გაიმართება თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა სახელწოდებით – „თბილისური".**

ორგანიზატორების ინფორმაციით, გამოფენაში მონაწილეობენ: მამუკა ცეცხლაძე, დათო თელია, ზურაბ გიკაშვილი, ლელა ტაბლიაშვილი, ქეთი თავდუმაძე, ირმა ცინცაძე, ნატალია კუცია, დალი ფრიდონაშვილი, მანანა სეხნიაიძე, გიორგი ბარათაშვილი, რამაზ რაზმაძე, ხათუნა ჟოლიძე, ინგა გაბაშვილი.

გამოფენის კურატორია ნანა ზაალიშვილი.

გამოფენაზე გაეცნობით და შეიძენთ მხატვრების მიერ შექმნილ ნამუშევრებს, დაათვალიერებთ შალვა ძნელაძის მუზეუმს და სასიამოვნოდ გაატარებთ დროს, განსხვავებულ და მშვიდ ატმოსფეროში.

**მისამართი: სოფელი დიღომი, სვეტიცხოვლის ქ. N1.**



# გაიხარეთ, გალაღდით პატარებო!

**თბილისის მერიის მხარდაჭერით, 1 ივნისს ტრადიციულად ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება.**

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დღეს დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, დღის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე არაერთი აქტივობა განხორციელდება, მთავარი ღონისძიება დაგეგმილია დედაენის ბაღში, რომლის ფარგლებშიც პატარებისთვის განსაკუთრებული პროგრამა იქნება წარმოდგენილი.

„ღონისძიების ფარგლებში, სცენაზე წარმოდგენილი იქნება „რანინას“ კონცერტი. მთელი დღის განმავლობაში გაიმართება ბავშვებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა გასართობი აქტივობა, მათ შორის: თოჯინების თეატრის და თითების თეატრის წარმოდგენები, სპექტაკლი „ჟოზე“, მოეწყობა სპორტულ-გასართობი ზონები, ფოტოზონა, ახალგაზრდა მეწარმეთა და საბავშვო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა, სკეიტ შოუ, ილუსტრაციების ზონა, ზღაპრის კუთხე და სხვა. პატარების განწყობაზე ზღაპრის გმირები იზრუნებენ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მერმა ყველა მშობელს მოუწოდა, ბავშვები სადღესასწაულო-გასართობ ღონისძიებებზე წაიყვანოს. მისივე თქმით, ღონისძიება - 17:00 საათზე, ხოლო საკონცერტო ნაწილი 20:00 საათზე დაიწყება.

# „ისტორიული ბაღების VII ევროპული ფორუმი“ ზუგდიდში

**ფორუმი ნიკოსეულ სასახლეში, ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ გახსნა. მერმა მისასალმებელ სიტყვაში ფორუმის მნიშვნელობასა და ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიაზე ისაუბრა.**

მერის თქმით, ეს ფორუმი ხაზს უსვამს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ისტორიულ მნიშვნელობას და მის წვლილს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში. ,,დღევანდელი ფორუმი არის საშუალება, რომ ევროპამ უფრო ახლოს გაიცნოს ბოტანიკური ბაღისა და ზუგდიდის ისტორია, გაიცნონ მისი დენდროლოგიური და ტურისტული პოტენციალი. ასევე, ჩვენთვის კარგი საშუალებაა გავეცნოთ სხვადასხვა პრაქტიკას, კულტურული მემკვიდრეობის მართვას და მცენარეთა ფიტოსანიტარიული დაცვის მეთოდოლოგიას, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ბოტანიკური ბაღის მენეჯმენტს და ზოგადად, ეს არის შესაძლებლობა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაცისთვის, რათა მან დაიკავოს უმნიშვნელოვანესი ადგილი ევროპის ბოტანიკური ბაღების მარშრუტში“ – აღნიშნა მამუკა წოწერიამ.

კონფერენციაზე სხვადასხვა ევროპული ბაღის წარმომადგენლები ერთმანეთს გაუზიარებენ ბაღებში არსებულ საერთო გამოწვევებს, საშიშროებებსა და გამოცდილებას.

უპრეცედენტო მასშტაბის ღონისძიების ქალაქ ზუგდიდში ჩატარებას საფუძველი გასული წლის მაისის თვეში ჩაეყარა, როდესაც ბაღის დირექტორი შალვა აგუმავა იმყოფებოდა რიგით მეექვსე ფორუმზე იტალიის ქალაქ ფლორენციაში.

ევროპული ბაღების გაერთიანების ასოციაციის წევრობას ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი 2022 წელს შეუერთდა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ქორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 3 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7874; ევრო - 3.0227;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5531;
100 რუბლი - 3.1098; თურქული ლირა - 0.0865;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6384;
1000 სომხური დრამი - 7.1979.

**ამინდი 31 მაისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +30 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +29 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge